შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№38 (10.093)

14-21 ოქტომბერი 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„ღვინის დღეები“ დედოფლისწყაროში

...ოქრომსუფრისგაჯაჭრული ზვრები, მწიფე ყურძნის სუნნელი, ქვევრი და ქვევრიდან ახალგამოღებული გრილი ღვინის ჯამათრობელი არომატი - ეს ყველაფერი ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია. კახეთში ვაზთან შერთიერთობასა და ღვინის დაყენებას უზარმაზარი ისტორია აქვს.

ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტრადიცია სტუმარ-მასპინძლობაა, რომელიც ღვინის გარეშე წარმოუდგენელია. ვაზს ოდითგანვე საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისთვის, ის სიცოცხლის, ნაყოფიერების სიმბოლოა. ვაზის დეკორატიულმა ელემენტმა ფართოდ ჰპოვა ასახვა საქართველოს ტაძართა ფასადებზე. ჩვენს ქვეყანას ღვინის კულტურასთან რვაათასწლიანი უწყვეტი ისტორია აკავშირებს. აქ არის აღმოჩენილი მსოფლიოში უძველესი ღვინის ჭურჭელი და ღვინის სამშობლოდაც სწორედ საქართველო ითვლება. აღსანიშნავია ქვევრის ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდი, რომელსაც 2013 წელს იუნესკოს (UNESCO) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით, 10 ოქტომბერს დედოფლისწყაროში „ღვინის დღეები“ გაიმართა.

კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო მეღვინეების კუთხე, ფოტოზონები, საბავშვო გასართობი სივრცეები და კვების ზონა. მართალია, ამ დღეს ამინდმა ხელი არ შეუწყო მონაწილეებს, შემოდგომის სუსხმა და წვიმამ იძალა, მაგრამ დღესასწაული მაინც შედგა.

ცეკვის აკადემია „სუხიშვილები“-ს მიერ ჩატარდა ქართული ცეკვის გაკვეთილები, სადაც მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა დედოფლისწყაროელებმა, დაილია საქართველოს და ღვინის მარნების სადღეგრძელოები. ადგილობრივი მეწარმეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ კარგ მასპინძლობაში, სტუმრებს გულღიად ეპატიჟებოდნენ და თავიანთი ხელით დამზადებულ ღვინოს, ჩურჩხელას, თათარას თუ სხვა ნაწარმს სთავაზობდნენ.

ჩატარდა სხვადასხვა ასაკის სტუმარზე გათვლილი შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებები. ამ დღეს დედოფლისწყაროს ბევრი ცნობადი სახე სტუმრობდა, იყვნენ სტუმრები უცხოეთიდანაც, ტურისტები... მათ თონეში კახური შოთიც გამოაცხვეს და ჩურჩხელის ამოვლების მასტერკლასშიც მიიღეს მონაწილეობა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი: „მეორე წელია, ვზეიმობთ „ღვინის დღეებს“ საქართველოში და ამაყად ვუცხადებთ მსოფლიოს, რომ ეს ღვთიური სითხე სწორედ აქ დაიბადა და აქ დაირნა მისი აკვანი“.

> „იქნებ ვაზია სამშობლო? აბა, დააკვირდით, თუ დაბლარია, დაჩოქილმა უნდა დაჭკრიფო, თუ მაღლარია - ცაში ხელაპყრობილმა. ორთავე საოცრად ჭკვავს ლოცვას, ლოცვა კი არაფერს ისე არ უხდება, როგორც სამშობლოს“ - ნოდარ დუმბაძე

ბადრი ჩიხიაშვილი, მომღერალი: „ასეთი ფესტივალების წყალობით ქართველი ახალგაზრდობა მეტად ეზიარება ქართულ ტრადიციებსა და კულტურას. ბუნებრივია, ეს დღეები სწორედ საქართველოს ყველა კუთხის ღვინის პოპულარიზაციას უწყობს ხელს.“

ღვინის მარანი **„ბოსტოღანა“** წელს პირველად მონაწილეობდა ასეთი სახის ღონისძიებაში. **„ვაწარმოებთ სამი სახეობის ღვინოს: რქაწითელს, საფერავსა და ქისს. 2021 წელს დავიწყეთ ღვინის ჩამოსხმა. ყურძენი ტიბაანის მიკროზონაშია მოყვანილი, მარანი კი დედოფლისწყაროში მდებარეობს“** - ამბობს **აზა ბაბაიანი.**

„მაროს ჩურჩხელები“ მეორე წელია, რაც ადგილობრივ ბაზარზე გამოჩნდა, როგორც მისი დამფუძნებელი **მარიამ თევზაძე** ამბობს, ისინი აწარმოებენ ტრადიციულ ჩურჩხელას, ასევე ჩირის ჩურჩხელას, ტყლაპს და, ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, წელს დაიწყეს კაკლისა და საზამთროს მურაბის წარმოება.

„მსგავსი ფესტივალები ძალიან კარგია, განსაკუთრებით ახალი საწარმოებისთვის. პირადად, მე, შარშან გამართული ღვინის დღეებზე გამიცნო დედოფლისწყაროელმა მომხმარებელმა“ - გვეუბნება მარიამ თევზაძე.

ღვინის ფესტივალზე ახალ სახეებთან ერთად უკვე კარგად ნაცნობი მეწარმეებიც იყვნენ თავიანთი პროდუქციით წარმოდგენილნი: **გოდერძი გონაშვილი,** პროფესიით მეღვინე, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ააშენა ღვინის მარანი დედოფლისწყაროში და ის ტურისტულ ცენტრად აქცია; **„ნასრაშვილების მარანი“, „ქიზიყური ტრადიციული“, „ნინო მერის მარანი“, „ღვინერი“, „ნოდარ ბაღაშვილის მარანი“...**

ჯეჯოფსისწყაროში ღვინის ჯეჯები ჯასრუჯა კონცერტით, ომეჯეფიც მონაწილეობჯნენ: „ქართული ხმები ჯა ბენჯი“ ჯა ჯგუფი - „გუფი ჯენჯი“.

ინგა შიოლაშვილი

„საქართველო განსაკუთრებით იმსახურებს კანდიდატის სტატუსს“

უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი, რომელიც საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად გამართულ ბრიფინგზე ყურადღებას ამახვილებს ამ ორი ქვეყნის მსგავსებაზე. ორბანმა თქვა ის, რაც ღარიბაშვილს მანამდე არაერთხელ აღუნიშნავს – საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის არმინიჭება უსამართლოა და რომ ქვეყანას აქვს მაღალი ეკონომიკური ზრდა.

„მიზეზი, რატომაც ჩამოვედით, უპირველეს ყოვლისა, იყო პატივისცემა და დაფასება, გამოგვეხატა უნგრელი ხალხის მხრიდან ქართველი ხალხისადმი... ძალიან გულდაწყვეტილი და გაბრაზებული ვართ, რომ საქართველომ ვერ მიიღო კანდიდატის სტატუსი, როდესაც ის ქვეყნები, რომლებმაც მიიღეს, გაცილებით ჩამორჩენილი არიან. ჩვენ ევროკავშირში უნდა გადავწყვიტოთ, ვხედავთ გაფართოებას, როგორც პოლიტიკურ პროცესს, თუ რასაც ვამბობთ, მართალია - ეს დამსახურებაზე დამყარებული პროცესია?! დამსახურებაზე დამყარებული პროცესი თუ არის, ის, რაც მოხდა, საკმაოდ უსამართლოა თქვენს ქვეყანასთან დაკავშირებით. ეს უნდა გამოსწორდეს, რაც შეიძლება მალე”, - განაცხადა ორბანმა.

მისი თქმით, უნგრეთის მიღება ევროკავშირში იყო სწორი გადაწყვეტილება მაშინ, რადგან “ჩვენ შევქმენით კონკურენტუნარიანობა ევროკავშირში“. სწორედ ამ ნაწილში ისაუბრა მან საქართველოსა და უნგრეთის მსგავსებაზე.

„უნგრეთი რომ არ გაწევრიანებულიყო იმ პერიოდში ევროკავშირში, ევროკავშირში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი ჩავარდებოდა. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ეკონომიკური ზრდა შეიძლება მივაკუთვნოთ, ძირითადად, ცენტრალური ევროპის რეგიონის გაწევრიანებას, რაც ნიშნავს, რომ ევროპულ კავშირს სჭირდება ასეთი დინამიზმი, ასეთი ენერგია, ისეთი ადამიანები, ვისაც სურთ იმუშაონ, იყვნენ კრეატიული, ვისაც გააჩნია ამბიციები. თუ ევროპა არ მიიღებს ასეთ ადამიანებს, როცა დრო დადგება, საბოლოოდ ევროკავშირი ფასს გადაიხდის ამისთვის იმით, რომ დაკარგავს კონკურენტუნარიანობას.

ამ კონტექსტში საქართველო გახლავთ ქვეყანა, რომელიც განსაკუთრებით იმსახურებს აღნიშნულ სტატუსს. რა თქმა უნდა, ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც ქვეყანას გააჩნია, არის მაღალი და მწამს, რომ ევროკავშირს ინტერესები აქვს დაუკავშირდეს კავკასიის რეგიონს და საუკეთესო გამოსავალია, დაუკავშირდეს საქართველოს მეშვეობით“, - აღნიშნა უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა.

ორბანი მხარს უჭერს საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას. ესპანეთის ქალაქ გრანადაში მან თქვა, რომ საქართველომ სტატუსი ვერ მიიღო „ლიდერების ეგოიზმის“ გამო.

2023 წლის ოქტომბერში გახდება ცნობილი, გასცემს თუ არა ევროკომისია რეკომენდაციას საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე. ევროკომისიის დასკვნის შემდეგ, 2023 წლის ბოლომდე, ევროპული საბჭოს ლიდერები შეაფასებენ საქართველოსა და სხვა ქვეყნების პროგრესს.

გასულ წელს ევროკავშირმა უკრაინასა და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, საქართველოს კი ევროპული პერსპექტივა მიანიჭა და კანდიდატის სტატუსის მისაღებად 12-პუნქტიანი წინაპირობა დაუწესა.

უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა.

საიდან იწყება ისრაელისა და პალესტინის კონფლიქტი?

ბრძოლა ისრაელსა და „ჰამასს“ შორის, რომელიც ისრაელზე მოულოდნელი თავდასხმით დაიწყო, კონფლიქტის ყველაზე სისხლიანი ესკალაციაა, თუმცა არა პირველი. 70 წლის განმავლობაში ისრაელსა და პალესტინელებს შორის დაპირისპირება ხშირი იყო, რამაც გარე ძალების ყურადღება მიიპყრო და ახლო აღმოსავლეთის დესტაბილიზაცია მოახდინა.

საიდან წარმოიშვა კონფლიქტი?

საწყისი 1948 წლის 14 მაისია, როცა ისრაელის დამფუძნებელმა მამამ დევიდ ბენ-გურიონმა თანამედროვე ისრაელის სახელმწიფოს შექმნა გამოაცხადა. ისრაელი იყო უსაფრთხო თავშესაფარი დევნილი ებრაელებისთვის. ებრაელები „ჰოლოკოსტის“ შემდეგ, რომლის დროსაც 6 მილიონი ებრაელი მოკლეს, ეძებდნენ სახლს მიწაზე, რომელთანაც მათ თაობების განმავლობაში ღრმა კავშირები ჰქონდათ.

ამ დღეს პალესტინელები „ნაკბას“ უწოდებენ, რაც კატასტროფას ნიშნავს. ისრაელის სახელმწიფოს შექმნამ მათ მიზნებს სახელმწიფოებრიობის შესახებ, საფრთხე შეუქმნა.

ისრაელის შექმნიდან ერთი დღის თავზე, მას მეზობლებმა ომი გამოუცხადეს. ომის დროს, ინგლისის ყოფილი პალესტინის პროტექტორატის ტერიტორიიდან, არაბი მოსახლეობის ნახევარი ქვეყნიდან გაიქცა. 700 000 პალესტინელმა თავი შეაფარა ღაზას სექტორს, აღმოსავლეთ იერუსალიმს, იორდანიას, ლიბანსა და სირიას.

ისრაელი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ახლო მოკავშირეა, უარყოფს ინფორმაციას, რომ მათ განდევნეს პალესტინელები. ებრაელები ხაზს უსვამენ, რომ მათ ხუთი არაბული სახელმწიფო დაესხა თავს მას შემდეგ, რაც ისრაელის სახელმწიფო ჩამოყალიბდა. ომი 1949 წელს შეჩერდა ზავით, თუმცა სამშვიდობო შეთანხმება არ მიღწეულა. პალესტინელები, რომლებიც დარჩნენ, ამ დროისთვის ისრაელის მოსახლეობის 20 პროცენტს შეადგენენ.

რა ომები მოხდა მას შემდეგ?

ომი 1967 წელს განახლდა, როცა ისრაელმა ეგვიპტესა და სირიაზე პრევენციური იერიშები მიიტანა. მაშინ ომი 6 დღის განმავლობაში გაგრძელდა. მას შემდეგ ისრაელმა დაიკავა დასავლეთ სანაპირო, აღმოსავლეთ იერუსალიმი, რომელიც მოიპოვა იორდანიისგან და სირიის გოლანის სიმაღლეები. 1973 წელს ეგვიპტემ და სირიამ ისრაელის პოზიციებს შეუტიეს სუეცის არხის და გოლანის სიმაღლეების გასწვრივ, რითიც დაიწყო „იომ-ქიპურის ომი“. ისრაელმა მაშინ სამ კვირაში შეძლო შეტევის მოგერიება.

1982 წელს ისრაელი ლიბანში შეიჭრა, ადგილზე „პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაციის“ (PLO) და „ისრაელის თავდაცვის ძალებს“ შორის განგრძობითი შეტაკებების ფონზე. 10 კვირის განმავლობაში მათ ალყაში მოაქციეს იასირ არაფატი და ათასობით პალესტინელი, რომელთა ევაკუაციას მოგვიანებით შეერთებული შტატების და საერთაშორისო მშვიდობისმყოფელების შუამდგომლობით მოხდა.

2006 წელს ლიბანში ომი კვლავ განახლდა, შიიტი დაჯგუფება „ჰეზბოლას“ მებრძოლებმა ორი ებრაელი ჯარისკაცი ტყვედ აიყვანეს, რასაც ისრაელმა უპასუხა.

2005 წელს ისრაელმა ღაზას სექტორი დატოვა, რომელიც მან 1967 წელს ეგვიპტესთან ბრძოლის შემდეგ დაიკავა. თუმცა ღაზაში შეტაკებები მას შემდეგ გრძელდება. ომების გარდა ადგილი ქონდა პალესტინელთა ორ აჯანყებას, ე.წ. “ინტიფადას” 1987-1993 და 2000-2005 წლებში.

მშვიდობის დამყარების მცდელობები

1979 წელს ეგვიპტემ და ისრაელმა ხელი მოაწერეს სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელმაც 30 წლიანი მტრობა დაასრულა. 1993 წელს ისრაელის პრემიერ-მინისტრმა იცხაკ რაბინმა და არაფატმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, როცა „ოსლოს შეთანხმებით“ პალესტინის შეზღუდულ ავტონომიაზე შეთანხმდნენ. 1994 წელს ისრაელმა ხელი მოაწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას იორდანიასთან. 1995 წელს ისრაელმა ულტრანაციონალისტმა, რომელიც შეთანხმებას ეწინააღდეგებოდა, რაბინი მოკლა.

2000 წელს კემპ დევიდში, მერილენდის შტატში, ამერიკის შუამდგომლობით გამართულ სამიტზე ისრაელის პრემიერ-მინისტრმა და არაფატმა სამშვიდობო შეთანხმებაზე შეთანხმება ვერ მოახერხეს. პროცესში ჩართული იყო ამერიკის იმჟამინდელი პრეზიდენტი ბილ კლინტონი.

2002 წელს ისრაელს არაბული გეგმა შესთავაზეს, რაც ყველა არაბულ ქვეყანასთან ისრაელის ურთიერთოებების ნორმალიზებას ითვალისწინებდა, თუ ისრაელი გაიყვანდა ჯარებს 1967 წელს ომის დროს დაკავებული ტერიტორიებიდან. შეთანხმება პალესტინელი ლტოლვილებისთვის „სამართლიან გადაწყვეტასაც“ მოიცავდა.

სამშვიდობო ძალისხმევა 2014 წლის შემდეგ შეჩერებულია, მას შემდეგ რაც ვაშინგტონის მცდელობის მიუხედავად ისრაელსა და პალესტინელებს შორის მოლაპარაკებები ჩაიშალა.

მოგვიანებით, პალესტინელებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ადმინისტრაციას. პალესტინელებმა მაშინ მიზეზად ამერიკის პოლიტიკის ცვლილება დაასახელეს, რომელიც ორი სახელმწიფოს პრინციპს ითვალისწინებდა. ტრამპის ადმინისტრაციის სამშვიდობო ფორმულით პალესტინის სახელმწიფოს შექმნა გათვალისწინებულია იმ ტერიტორიაზე, რომელიც ისრაელმა 1967 წელს დაიპყრო.

რა ეგაპზეა სამშვიდობო ძალისხმევა დღეს?

ამერიკის მოქმედი პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია ყურადღებას ამახვილებს ახლო აღმოსავლეთში „დიდი გარიგების“ უზრუნველყოფის მცდელობაზე, რომელიც მოიცავს ისრაელსა და საუდის არაბეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზებას. მიმდინარე კვირაში დაწყებული ომი დიპლომატიური კუთხით უხერხულობას ქმნის, უკვე არსებული სამშვიდობო შეთანხმების ფარგლებში.

ძირითადი პრობლემური საკითხები

ისრაელსა და პალესტინას შორის პრობლემური რამდენიმე ძირითადი საკითხია, იქნება ეს: ორი სახელმწიფოს გადაწყვეტა, 1967 წელს დაპყრობილი ტერიტორიები, იერუსალიმის სტატუსი, ებრაული დასახლებები თუ ლტოლვილების თემა.

- ორი სახელმწიფოს გადაწყვეტა - ეს არის შეთანხმება რომელიც შექმნის სახელმწიფოს პალესტინელებისთვის დასავლეთ სანაპიროზე და ღაზას სექტორში ისრაელთან ერთად. თუმცა ჰამასი უარყოფს ორი სახელმწიფოს გადაწყვეტას, მის მებრძოლებს ფიცი აქვთ დადებული, რომ ისრაელს გაანადგურებენ. ისრაელის ოფიციალური პოზიციაა, რომ თუ პალესტინის სახელმწიფო შეიქმნება, ის უნდა იყოს დემილიტარიზებული, რათა ისრაელს საფრთხე არ დაემუქროს.
- დასახლებები - ბევრი ქვეყანა უკანონოდ მიიჩნევს ებრაულ დასახლებებს, რომელიც ისრაელმა 1967 წელს ოკუპირებულ მიწებზე ააშენა. ისრაელი ბრალდებებს უარყოფს და ამბობს, რომ ამ მიწებთან ებრაელ ხალხს ისტორიული და ბიბლიური კავშირი აქვს. ეს საკითხი ერთ-ერთი ყველაზე დიდი საკამათო თემაა, ისრაელს, პალესტინელებსა და საერთაშორისო საზოგადოებას შორის.
- იერუსალიმი - პალესტინელებს სურთ, რომ აღმოსავლეთ იერუსალიმი, რომელიც მოიცავს მუსულმანების, ებრაელებისა და ქრისტიანებისთვის წმინდა ადგილებს, იყოს მათი სახელმწიფოს დედაქალაქი. ისრაელი აცხადებს, რომ იერუსალიმი უნდა დარჩეს მის „განუყოფელ მარადიულ დედაქალაქად“. ისრაელის პრეტენზია იერუსალიმის აღმოსავლეთ ნაწილზე საერთაშორისო დონეზე აღიარებული არ არის. 2018 წელს აშშ-ის 45-ე პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად ცნო, იმის დაკონკრეტების გარეშე თუ რა ნაწილს მოიცავს ის და ამერიკის საელჩოც სწორედ იერუსალიმში გადაიტანა.
- ლტოლვილები - დღეს დაახლოებით 5.6 მილიონი პალესტინელი ლტოლვილია. ძირითადი ნაწილი მათი შთამომავალია, ვინც ისრაელი 1948 წელს დატოვა. მათი დიდი ნაწილი ცხოვრობს იორდანიაში, ლიბანში, სირიაში, ისრაელის მიერ ოკუპირებულ დასავლეთ სანაპიროზე და ღაზას სექტორში. რეგისტრირებული ლტოვლილების ნახევარი რჩება მოქალაქეობის არმქონედ, ოფიციალური უწყებები ამბობენ, რომ ბევრი ბანაკებში ცხოვრებას აგრძელებს.



მზის ენერგია — კაცობრიობის მომავალი

მსოფლიო მოსახლეობის ზრდასთან ერთად განუწყვეტლივ იზრდება მოთხოვნა ენერგიაზე. მართლაც, ჩვენი ყოველდღიურობა უკვე წარმოუდგენელია ელექტრონული მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების, ინტერნეტის თუ კომფორტულად მოწყობილი საცხოვრებელი სახლების გარეშე, რომელთა ფუქციონირებისათვის უზარმაზარი ენერგიაა საჭირო, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც მოსახლეობის რაოდენობის ზრდასთან ერთად მათზე მოთხოვნა განუწყვეტლივ იზრდება.

სხვადასხვა ქვეყნების ხელისუფლებები გეგმავენ, როგორ უნდა შეამცირონ ნახშირბადის ემისიები; ინვესტორები უბიძგებენ კომპანიებს, გარემოზე თავიანთი საქმიანობით გამოწვეული დამაზიანებელი ეფექტი მინიმუმამდე შეამცირონ; დღეს ადამიანები ინდივიდუალურადაც ცდილობენ საკუთარი ნახშირბადის კვალი შეამცირონ. თუმცა, მიუხედავად ამ მცდელობებისა, წიაღისეული საწვავისგან ენერგიის გამომუშავება და მისი მოხმარებაა ის ფაქტორი, რომელსაც ყველაზე დიდი გავლენა და წილი აქვს ნახშირბადის ემისიებში.

ამიტომაც, გასაკვირი ნამდვილად არ ყოფილა, როდესაც განახლებადი ენერგიის წყაროები მსოფლიო დღის წესრიგში მოექცა.

მზის პანელების საერთაშორისო კომპანია ***„ომ ენერჯი საქართველოს“*** და ენერგეტიკის განვითარების ფონდის წარმომადგენლებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში საინფორმაციო შეხვედრა გამართეს, რომელსაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლები და ადგილობრივი მეწარმეები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე კომპანიის მმართველმა პარტნიორმა ირაკლი უბილავამ და ენერგეტიკის განვითარების ფონდის პროექტების განვითარების მენეჯერმა ედიშერ ჯობავამ მზის ენერგიის უპირატესობაზე ისაუბრეს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი - „დედოფლისწყაროს ისეთი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, რომ შესანიშნავი ადგილია განახლებადი ენერგიების, კერძოდ კი მზის პანელების დასამონტაჟებლად. ჩვენი სტუმრების მიზანია, გაგაცნოთ მზის ენერგიის უპირატესობა, როგორც გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირების, ასევე ეკონომიკური სარგებლის მიღების კუთხით“.

ედიშერ ჯობავა: „ამ პროექტის გაცნობას დედოფლისწყაროდან ვიწყებთ. ამას აქვს ბევრი მიზეზი: პირველი, რომ ჩვენ ნიკოლოზ ჯანიაშვილთან ვმეგობრობთ და მეორე, იუნესკოს მიერ მონიჭებული სტატუსი, რომელიც სწორედ განახლებადი ენერგიების კუთხით ძალიან ბევრი საინტერესო პროექტის მხარდაჭერას გულისხმობს. სოლარ სისტემა, ეს არის ჩვენი ქვეყნის მომავალი, და შესაბამისად, მზის პანელების მონტაჟი არის ხვალინდელი დღე. სახელმწიფოს ეს პრიორიტეტულად მიაჩნია და არის მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან. აღნიშნულ კომპანიას ჰქონდა პრეზენტაცია, რაც მიზნად ისახავს მეტი ინფორმაციის გასვლას მოსახლეობაში და განახლებადი ენერგიის მნიშვნელობის გააზრებას.

ბიოსფერული რეზერვატის სტატუსი არის შანსი დედოფლისწყაროსთვის, რომ მეტი საერთაშორისო ორგანიზაცია დაინტერესდეს ამ მუნიციპალიტეტით და მსგავსი პროექტები დააფინანსოს“.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ტრადიციული ელექტროენერგიის ჩანაცვლება ნაკლებ ზიანს მოუტანს გარემოს . ამასთან, ის მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეკონომიკისა და ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესებაში, რასაც ხელისუფლება აქტიურად უჭერს მხარს სხვადასხვა პროგრამების განხორციელებით. ირაკლი უბილავამ და ედიშერ ჯობავამ შეხვედრის მონაწილეებს დეტალურად გააცნეს სახელწიფო პროგრამები და აღნიშნულ სფეროში არსებული სიახლეები. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

დამსწრე საზოგადოებას აინტერესებდა ის სარგებელი, რომელსაც ისინი ამ პროექტის განხორციელების შედეგად მიიღებდნენ. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისთვის მზის პანელების მონტაჟი ბევრად მომგებიანია, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც საბანკო სექტორი ერთვება და მხარს უჭერს ამ ინიციატივას. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სოლარ სისტემების მონტაჟს აქტიურ მხარდაჭერას უცხადებს სახელმწიფო, კერძოდ, ეკონომიკის სამინისტრო,რომელიც პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ასეთ ინიციატივებს დააფინანსებს.

კაცობრიობამ მზის ენერგიის ათვისება უძველესი დროიდან დაიწყო და მას სხვადასხვა მიზნებისთვის იყენებდა. მაგალითად, თქმულების მიხედვით ბერძენმა მეცნიერმა არქიმედემ ბერძნული ქალაქ სირაკუზის დასაცავად რომაელთა ჯარებისგან სწორედ მზის ენერგია გამოიყენა. მან ლითონის სარკის ზედაპირზე არეკლილი სხივების ფოკუსირებით რომაულ საბრძოლო ხომალდებს ცეცხლი გაუჩინა. გარკვეული დროის შემდეგ კაცობრიობამ მზის ენერგიის გამოყენება უფრო რაციონალური მიზნებისთვის დაიწყო. 1515 წელს ლეონარდო და ვინჩმა შექმნა კონსტრუქცია, რომელიც მზის ენერგიას წყლის გასაცხელებლად იყენებდა.

მზის ენერგიის გამოყენებას უდიდესი პოტენციალი აქვს. მაგალითად, ყოველ საათში დედამიწაზე იმდენი მზის ენერგია აღწევს, რომ ერთი წლის მანძილზე მსოფლიო ენერგიის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად იქნებოდა საჭირო.

არსებობს მზის ენერგიის გამოყენების პასიური და აქტიური მეთოდები. პასიურ იმეთოდი არ გულისხმობს რაიმე სპეციალური ტექნოლოგიის გამოყენებას. მისი მაგალითია საცხოვრებელი სახლების ისეთი დაპროექტება, რომ მზის ენერგია ეფექტურად იქნეს გამოყენებული. მაგალითად, ძველი ბერძნები მიხვდნენ, რომ მზის ენერგიის სწორი გამოყენება საცხოვრებელი სახლის აშენებისას ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რათა ზაფხულში სახლში ყოფილიყო სიგრილე, ხოლო ზამთარში სითბო. შესაბამისად, შეიმუშავეს შენობების ახლებული არქიტექტურა და ოთახების სწორი დაგეგმარება, რომლის მიხედვითაც მთავარი ოთახები უნდა განლაგებულიყო სახლის განაპირა ნაწილებში და ფანჯრები მიმართული უნდა ყოფილიყო სამხრეთით. ამდაგვარი დაგეგმარების წყალობით, საცხოვრებლის მთავარი ოთახები ზაფხულში ნაკლებ ენერგიას იღებდნენ მზისგან, ხოლო ზამთარში პირიქით - მზის სხივები პირდაპირ უყურებდნენ ოთახებს, რითაც ნარჩუნდებოდა ზამთრის ცივ ამინდებში სახლში სითბო.

საქართველოში მზის ენერგიის გამოყენების პასიური მეთოდის მაგალითი ვარძიაა, რადგან კელიები მზისგან მაქსიმალური განათებითა და სითბოთი იყო უზრუნველყოფილი

მზის ენერგიის გამოყენების აქტიური მეთოდი კი მზის პანელებია. მათი საშუალებით შესაძლებელია არამარტო წყლის გაცხელება, არამედ ელექტროენერგიის მიღებაც.

როდის გახდება განახლებადი ენერგია ელექტროენერგიის წარმოების დომინანტური წყარო?

მიუხედავად განახლებადი ენერგიების ზრდისა, წიაღისეული საწვავი გლობალურად კვლავ დომინირებს.

ქვეყნების უმრავლესობა ენერგეტიკული ტრანზიციის საწყის ეტაპზეა და ერთეულია ისეთი შემთხვევები, როდესაც ელექროენერგიის წარმოების საერთო წილში სუფთა ენერგიებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მიუხედავად ამისა, მიმდინარე ათწლეულში, დიდი ალბათობით, მრავალი რეკორდული და გარდამტეხი ცვლილების მომსწრე გავხდებით.

ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს (IEA) პროგნოზით, 2026 წლისთვის განახლებადი წყაროებით წარმოებული ელექტროენერგიის მოცულობა 2020 წელთან შედარებით 60%-ით გაიზრდება და 4,800 გიგავატს გადააჭარბებს — შედეგად, იგი გაუტოლდება წიაღისეული და ატომური ენერგიის დახმარებით ამჟამად გენერირებული ელექტროენერგიის მოცულობას. ამიტომაც, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, თუ როდის გახდება განახლებადი ენერგია ელექტროენერგიის წარმოების დომინანტური წყარო — უკვე ცხადია, რომ გლობალური ენერგეტიკის ეკონომიკა გარდაუვალად იცვლება.

საბოლოო ჯამში, განახლებად ენერგიას თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ კაცობრიობის ენერგო განვითარების მომავალი. მის მნიშვნელობას კიდევ უფრო უკეთ გავაცნობიერებთ რამდენიმე ათეული წლის შემდგომ, როდესაც პლანეტის ბუნებრივი წიაღისეული მნიშვნელოვნად შემცირდება და კიდევ უფრო დამოკიდებული გავხდებით განახლებადი ენერგიის წყაროებზე, მათ შორის მზის ენერგიაზე.

ინგა შიოლაშვილი

„თქვენი წარმატება თქვენზეა დამოკიდებული“

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და, „სქილვილის“ თანამშრომლობით განხორციელებული სოციალური პროექტის საფუძველზე მერიის დაფინანსებით ონლაინ აკადემიაში სწავლა 14 სტუდენტს დაუფინანსდა.

სტუდენტებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი და „სქილვილის“ წარმომადგენლები შეხვდნენ.

ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომლობა ნაყოფიერი აღმოჩნდება, სოციალური პროექტი მომავალშიც გაგრძელდება. „პროექტის შედეგიანობა არ არის დამოკიდებული მხოლოდ „სქილვილის“ შესაძლებლობებზე. ჩვენ ვიცით, რომ

აკადემიას ჰყავს მაღალი დონის პროფესიონალები, რომლებიც ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ დაეუფლოთ მოთხოვნად და მაღალანაზღაურებად პროფესიას. მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, რომ გახდეთ ძლიერი აიტი სპეციალისტები. იმედი მაქვს, დააფასებთ ჩვენს მონდომებას და იმედებს გაგვიმართლებთ. გისურვებთ წარმატებებს“- აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

სტუდენტებს კონკურსში გამარჯვება მიულოცა და შემდგომი წარმატება უსურვა **ნუგზარ პაპიაშვილმა:** „გილოცავთ და ვიმედოვნებ, რომ წარმატებით ისარგებლებთ ჩვენს მიერ მოცემული შესაძლებლობით და გახდებით კარგი პროფესიონალები. შეძენილ ცოდნას კი ჩვენს ქვეყანას და მუნიციპალიტეტს მოახმართ“ - განაცხადა შეხვედრაზე საკრებულოს თავმჯდომარემ.

მირზაანის სკოლა განახლდება

სოფელ მირზაანის საჯარო სკოლის ძველი შენობის აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. მრავალი წელია, სკოლას რეაბილიტაცია არ ჩატარებია. შიდა და გარე ფასადის განახლების გარდა შენობის გათბობის სისტემაც მოეწყობა.

თავდაპირველად, სამუშაოებისთვის 160 128 ლარი იყო გათვალისწინებული, თუმცა ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ვალდებულებების შესრულება 158 443 ლარად იკისრა. ხელშეკრულება დედოფლისწყაროს მერიამ 14 აგვისტოს გააფორმა. შპს „რედის“ ხელმძღვანელთან ედიშერ რეხვიაშვილთან.

ამჯერად მიმდინარე სამუშაოები ითვალისწინებს გათბობის სისტემის მონტაჟს და შიდა და გარე ფასადის რეაბილიტაციას. მირზაანის საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაციის პროექტი მოიცავს არსებულ შენობანაგებობაში სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარებასა და ახლის მონტაჟს. სადემონტაჟო სამუშაოები გულისხმობს საკლასო ოთახების კარებების შეცვლას, შესასვლელი კარების განახლებას. როგორც პროექტშია განსაზღვრული, პირველ და მეორე სართულებზე ხორციელდება იატაკის რეაბილიტაცია, არსებული კიბის უჯრედისა და ბაქნის შეცვლა. ასევე, მიმდინარეობს საკლასო ოთახების, გარე ფასადის და დერეფნის კოსმეტიკური შეკეთება. სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს საქვაბე, ეზოში კი ნავესი, პანდუსი. ასევე დეკორატიულად უნდა დამუშავდეს ფასადები.

ცნობილია, რომ მირზაანის სკოლას სსიპ—ის სტატუსი არ აქვს, ამდენად, ის ზემო მაჩხაანის სკოლის შემადგენლობაში შედის. ზემო მაჩხაანის სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **მაია ხუნაშვილი** გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ ამჟამად მირზაანის სკოლაში მხოლოდ 30 მოსწავლე ირიცხება. მისივე თქმით, მცირე კონტინგენტის გამო მირზაანის სკოლაში ყველა კლასი არ მოქმედებს და ასაკის მიხედვით კლასკომპლექტებია შექმნილი.

„შენობის რემონტი მალე დასრულდება, თუმცა ამჯერად პროექტი სრულ რეაბილიტაციას არ ითვალისწინებს. ასევე შენობის გაზიფიცირება მოხდება. ორი წლის წინ ახალი ავეჯი შევიტანე სამასწავლებლოსთვის. წელს 4 ახალ კომპიუტერს დავამონტაჟებთ. კლასებში ავეჯიც მოძველებული არ არის. ამჟამად, მირზაანელი ბავშვები ზემო მაჩხაანის სკოლის ახალ შენობაში სწავლობენ, დილით, პირველ ცვლაში არიან, რადგან მეორე ცვლა არბოშიკის სკოლის ბავშვებს აქვთ დაკავებული,“ — აღნიშნავს მაია ხუნაშვილი.

როგორც მირზაანელები „შირაქს“ უყვებიან, სკოლის ეს შენობა 1965 წელს გაიხსნა, მანამდე კი სკოლა იმავე ეზოში მდებარე ძველ ოთახებში მოქმედებდა. გახსნის პერიოდში მირზაანის სკოლა ისევ არასრული საშუალო სკოლის სტატუსს ატარებდა და მხოლოდ რვაწლიან სწავლებას ითვალისწინებდა.

ილია თარაშვილი: „ვიდრე ამ შენობას ააშენებდნენ, იმავე ეზოში, მესერთან მდებარე ძველ ოთახებში იყო კლასები მოწყობილი, შემდეგ იმ ფართში ლაბორატორიები მოაწყვეს. პირველი ოთხი კლასი იქ ვისწავლე, მეხუთე კლასიდან კი ამ ახალ შენობაში გადავედი. ეს სკოლა რომ გაიხსნა დირექტორი შალვა გავაშელიშვილი იყო, წელიწადნახევარში კი სკოლის დირექტორად მამაჩემი, ვანო თარაშვილი დაინიშნა, რომელიც დაახლოებით 12 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ სკოლას. სოფელს ოქროს ხანა 1970-80-იან წლებში ედგა, სკოლაში 180-მდე მოსწავლე იყო, სიცოცხლე ჩქეფდა, სოფელი გამოცოცხლებული და ხალხმრავალი იყო, არც სამუშაო ჭირდა და არც ეკონომიურად უჭირდა ვინმეს. ჯერ რვაწლიანი სკოლა იყო, მოგვიანებით გახდა სრული, საშუალო სკოლა. 90-იან წლებში დემოკრატიობანას თამაში დაიწყო და ცხოვრება უკან წავიდა. ყველაფერი ჩაკვდა. მერე კი სააკაშვილის დროს კახა ლომაიამ სულ გააუქმა. ამ დღიდან დაიწყო მიგრაცია და დაიცალა სოფელი. როცა სკოლა არ არის, ვერც ახალგაზრდობა დარჩება სოფელში. ამიტომ, ახლა, როცა დიდი სარემონტო სამუშაოები მიდის, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მართალია დაახლოებით 30 მოსწავლე დარჩა სოფელში, მაგრამ ამ შენობის გალამაზება მნიშ- ვნელოვანი საკითხია ადგილობრივებისთვის“.

„როცა სოფელში სხვა წარმოებადაწესებულებები არ მუშაობს, სკოლა და ბაღი მაინც უნდა იყოს კეთილმოწყობილი, რომ მიგრაცია შეწყდეს და ახალგაზრდებს აქ ცხოვრების სურვილი ჰქონდეთ. სკოლის გარემონტება აქამდე არავის უცდია და ახლა რაც დაიწყო მართლაც მნიშვნელოვანი საქმე კეთდება. მირზაანელ ბავშვებს უკეთესი პირობები ექნებათ და ეს მისასალმებელია. რაც მეტი ხელშეწყობა ექნებათ მოზარდებს, მით უკეთესია მირზაანის გაძლიერებისთვის. ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ, როგორ გაძლიერდეს სოფელი,“ – ამბობენ მირზაანელები.

ილია მარტყოფლიშვილი

ოზაანის ამაღლების ტაძრის გასამაგრებლად პროექტირება დასრულდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანში ამაღლების ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები დასრულდა. ამის შესახებ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციაშია ნათქვამი. მათი განმარტებით, ამჟამად მიმდინარეობს პროექტის საკონსულტაციო საბჭოებთან შეთანხმების პროცესი, რის შემდეგაც პროექტის მიხედვით განსაზღვრული გამაგრებითი სამუშაოების ჩასატარებლად ტენდერი გამოცხადდება. ტენდერი გამოავლენს კომპანიას, რომელიც უახლოეს თვეებში სამუშაოებს დაიწყებს.

შეგახსენებთ, რამდენიმე თვის წინ გუმბათიდან აგურები ჩამოცვივდა, რის შემდეაც ტაძარი მრევლისთვის დაიკეტა. როგორც ტაძრის წინამძღვარმა იღუმენმა სერაფიმე შავიძემ გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ქვათა ცვენა იმ დროს მოხდა, როცა მრევლი და სასულიერო პირები უკვე ეზოში იყვნენ, შესაბამისად, არავინ დაშავებულა.

„საბედნიეროდ, როცა ქვები ჩამოცვივდა, უკვე გარეთ ვიყავით გასულები და მრევლს ვესაუბრებოდი. არავინ დაშავებულა, მაგრამ რაკი საფრთხე ისევ რჩება, ეპარქიასთან შეთანხმებით მივიღეთ გადაწყვეტილება, ტაძარი დროებით დაგვეკეტა. შიგნით ნალექიც ჩამოდის... ბევრჯერ იყვნენ სპეციალისტები ჩვენთან ჩამოსული, საფუძვლიანად შეისწავლეს. როგორც ვიცი, საპატრიარქოსთანაც შეათანხმეს,“ — ამბობს იღუმენი სერაფიმე.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ძეგლთა რეაბილიტაციის წლიური ბიუჯეტი მიმდინარე წლისთვის 13 615 000 ლარს შეადგენს. სააგენტოს ცნობით, საანგარიშო პერიოდში დაიწყო, მიმდინარეობდა, ან უკვე დასრულდა კულტურული მემკვიდრეობის 40 ძეგლის რეაბილიტაციის პროცესი. წლიური ანგარიში სააგენტომ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა, სადაც ოზაანის ტაძრის გამაგრების პროექტირების დასრულებაზეა საუბარი. თუმცა, სააგენტო ჯერ არ აკონკრეტებს, რა თანხა მოხმარდება მონასტრის გამაგრებას.

შეგახსენებთ, ათწლეულების მანძილზე შეჩერებული სამონასტრო ცხოვრება ოზაანის ამაღლებაში მეუფე დიმიტრი კაპანაძის დიდი ძალისხმევითა და უწმინდესის ლოცვა-კურთხევით 2020 წლის 26 ნოემბრიდან აღდგა. ეპისკოპოსმა იღუმენი სერაფიმე ოზაანის ამაღლების წინამძღვრად სწორედ ამ დღიდან დაადგინა. ოზაანის ამაღლება შუა საუკუნეების ერთადერთი ჯვარგუმბათოვანი ტაძარია დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე, რომელსაც აქვს უნიკალური უძველესი კედლის მხატვრობა. ნალექისა და დაზიანებების გამო კი ეს მემკვიდრეობა საფრთხეშია.

სამრეკლოს საბავშვო ბაღის დემონტაჟი დაიწყო

სოფელ სამრეკლოს საბავშვო ბაღის შენობის დემონტაჟის სამუშაოებისთვის გამოცხადებული ტენდერი წარმატებით დასრულდა. დემონტაჟს შპს „ექო 2023“ შეასრულებს. ამისათვის 27 930 ლარი იყო გათვალისწინებული. ტენდერში ორი კომპანია მონაწილეობდა — შპს „ძველებური აგური“ სამუშაოების შესრულებას 22 345 ლარად გვპირდებოდა, ხოლო შპს „ექო 2023“ კი 22 203 ლარად. წესების მიხედვით, თანხის დაზოგვის მიზნით, ტენდერში გამარჯვებულად ითვლება კომპანია, რომელიც ყველაზე იაფად შეასრულებს შეკვეთას. ამდენად, გამარჯვებულად „ექო 2023“ გამოცხადდა.

გამარჯვებულ კომპანიასთან დედოფლისწყაროს მერიამ ხელშეკრულება მიმდინარე წლის 15 სექტემბერს დადო. „ექო“-ს განსაზღვრული აქვს 40 დღიანი ვადა, მასვე დარჩება დემონტაჟის დროს გამოსადეგი მასალები.

გარდამავალ პერიოდში, ახალი ბაღის აშენებამდე სამრეკლოელი ბავშვები ქალაქ დედოფლისწყაროს მესამე საბავშვო ბაღის შენობაში ივლიან. ისინი ალტერნატიულ ფართში ახალი სასწავლო წლიდან უკვე გადავიდნენ.

რაც შეეხება სამრეკლოში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობას, მუნიციპალური განვითარების ფონდი საქართველოში 140 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობას იწყებს და მათ შორისაა დედოფლისწყაროს სოფელი სამრეკლოც. თითოეულ შენობას დაახლოებით 2 მილიონი ლარი მოხმარდება. გურჯაანის სოფელ კოლაგში, სიღნაღის სოფელ ქვემო მაღაროში, ქალაქ საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს სოფელ სამრეკლოში ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობისთვის 7 287 287 ლარია გათვალისწინებული.

გრიპი vs გაციება

ქვეყნის მასშტაბით, სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ოქტომბრის მეორე ნახევრიდან დაიწყება.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველომ 200 000 დოზა **Abbott Biologicals** B.V.-ის წარმოების, ოთხკომპონენტიანი ვაქცინა უკვე შეიძინა, რომელიც ერთ-ერთია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულ ვაქცინებს შორის.

გრიპის ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია რისკჯგუფებს, ვისაც დაავადების გართულების მომატებული რისკი აქვთ, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, უფასოდ ჩაუტარდებათ. 2023-2024 წლების გრიპის სეზონისათვის ქვეყანაში გრიპის ვაქცინაციის მიზნით მაღალი რისკის ჯგუფებად განისაზღვრა: დიაბეტის მქონე პირები; დიალიზზე მყოფი პირები; **C** ჰეპატიტის მქონე პირები (მხოლოდ მკურნალობაზე მყოფნი); აივ ინფექცია/შიდსის მქონე პირები; ორგანოგადანერგილი და მუკოვისციდოზის დაავადების მქონე პირები; აგრეთვე, 60 წლის და უფროსი ასაკის ხანდაზმული პირები; ორსულები; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლები) პედაგოგები; ბავშვთა (მ.შ. მცირე საოჯახო ტიპის) და მოხუცთა თავშესაფრების ბენეფიციარები და მათი მომვლელი პერსონალი; სავალდებულო ვაქცინაციას დაქვემდებარებული მედპერსონალი და სხვ.“ — აღნიშნულია ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციაში.

უწყების ცნობით, ოქტომბრის მეორე ნახევრიდან ვაქცინა ხელმისაწვდომი იქნება იმუნიზაციის სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებში, რომელთა სია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდება.

გრიპის საწინააღმდეგო აცრამდე, კიდევ ერთხელ უნდა შევახსენოთ საზოგადოებას ის განსხვავებები და მახასიათებლები, რაც გრიპს და გაციებას ერთმანეთისგან განასხვავებს:

გაციებული ვარ, არაფერი ისეთიო, რამდენჯერ გვითქვამს და ამით „დაგვიმშვიდებია“ სხვაც და საკუთარი თავიც. სამედიცინო თვალით რომ შევხედოთ, ორ, სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაზე ვსაუბრობთ. ამიტომ, სასურველია შეგვეძლოს მათი ერთმანეთისგან გარჩევა და შესაბამისად, საკუთარი და სხვათა ჯანმრთელობის დაცვა.

გრიპიც ვირუსია და გაციებაც?

რა არის გაციება? „გაციების“ ქვეშ ერთიანდება ზედა სასუნთქი გზების მსუბუქი 200-მდე ვირუსული ინფექციები, რომლებიც ძირითადად ვლინდება სურდოთი, ცემინებით, ყელის ტკივილით, მსუბუქი ხველითა და დაბალი ცხელებით. მას მგონი, ყველა მოცლილი ვირუსი იწვევს, რომელსაც არ „ეზარება“ თქვენს ორგანიზმში მოხვედრა. ყველაზე ხშირი და მსუბუქი მათ შორის რინოვირუსია. შეიძლება გაგელიმოთ, მაგრამ ამ რომელიმე ვირუსის ორგანიზმში მოხვედრის გარეშე ვერ „გაცივდებით“, სულ რომ გაიყინოთ. „ჩვენს რესპირატორულ სიმპტომებში დამნაშავე მხოლოდ და მხოლოდ ვირუსები არიან და არა გარედან მონაბერი გრილი ჰაერი, დაბალი ტემპერატურა, კონდიციონერი... ყველა ასეთი მდგომარეობა, რომელსაც ჩვენ „გაციებას“ ვეძახით, გადამდებია“. გაციება მსუბუქი დაავადებაა. შეიძლება:

- **გასრუტუნებს;**
- **ერთჯერადი ცხვირსახოცების ცვლას ვერ აუდიხარ;**
- **დაბალი სიცხეც გაქვს;**
- **ძვლებში გამტვრევს;**
- **აღარც ცხოვრების ხალისი გაქვს;**

რამდენიმე დღეში ნებისმიერ ჯანმრთელ ორგანიზმში იმუნური სისტემა თავისით მოაგვარებს ამ ამბავს და შემოპარულ რინოვირუსს მოერევა. შესაბამისად, არ არსებობს არანაირი წამალი ან აცრა ამ ვირუსის წინააღმდეგ. ერთადერთი წამალი შენი იმუნიტეტია და ორად ორი რამ, რაც შეგიძლია გააკეთო:

- **მიიღო ბევრი სითხე;**
- **დაისვენო და კარგად გამოიძინო;**

„რაც შეეხება გრიპს. გრიპს კონკრეტული ვირუსი იწვევს, რომელსაც ინფლუენზა ჰქვია. გრიპს უფრო მძიმე მიმდინარეობა ახასიათებს, „გაციება“ კი შედარებით მსუბუქად მიმდინარეობს. რადგან ორივე სასუნთქი გზების დაავადებაა, მათი გარჩევა საკმაოდ რთულია და ზოგ შემთხვევაში — შეუძლებელი. თუმცა ზუსტი დიაგნოზი ლაბორატორიული ანალიზით შეიძლება დაისვას. გამოვლინების მხრივ, გრიპის სიმპტომები უეცრად და მკვეთრად იწყება და მოიცავს შემცივნებას, მაღალ ტემპერატურას, ხველას, ყელის ტკივილს, სურდოს, კუნთებისა და სახსრების ტკივილს, თავის ტკივილს და დაღლილობას. ხოლო „გაციების“ სიმპტომები შედარებით მსუბუქია და უფრო ნელა იწყება“. გრიპი, გართულების შემთხვევაში სიკვდილით შეიძლება დასრულდეს. გაგონილი გვექნება, ალბათ, „ისპანკა“. ეს იყო სწორედ გრიპის, ანუ ინფლუენზას პანდემია 1918 წელს. მსოფლიოს მოსახლეობის მესამედს დაემართა და 20-50 მილიონი ადამიანი დაიღუპა. გართულებების რისკი ბევრად მეტია მოსახლეობის ზოგ ჯგუფში:

- **მოხუცებში**
- **ბავშვებში**
- **ორსულებში**
- **ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანებში (დიაბეტი, ასთმა, გულის, ფილტვების, ღვიძლის, თირკმლის დაავადებები, აივ-ინფექცია/შიდსი).**

გრიპის თავიდან აცილება შესაძლებელია. მეცნიერებმა ძალიან მოინდომეს და დღეს გრიპის თავიდან აცილების საშუალებაც არსებობს და მისი მკურნალობისაც. მაგრამ, თუკი რომელიმე რესპირატორული ვირუსით დაინფიცირდით, სასურველია, შეძლებისდაგვარად შორს დაიჭიროთ თავი სხვებისგან და სასუნთქი გზების მწვავე ვირუსული ინფექციის მქონეებმა სამსახურში არ იაროთ.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

გაციება vs გრიპი

სიმპტომები	გაციება	გრიპი
სიმპტომების დაწყება	თანდათან	უეცრად
ცხელება	იშვიათად	ხშირად, გრძელდება 3-4 დღე
კუნთების ტკივილი	უმნიშვნელოდ	ხშირად, ზოგჯერ ძალიან ძლიერი
შემცივნება	ძალიან იშვიათად	საკმაოდ ხშირად
სისუსტე, დაღლილობა	ზოგჯერ	დამახასიათებელია
ცემინება	ხშირად	ზოგჯერ
ხველა	მსუბუქად ან სამუალოდ; მშრალი ხველა	ხშირად, შეიძლება ძალიან ძლიერი
ცხვირის გაქედვა	ხშირად	ზოგჯერ
ყელის ტკივილი	ხშირად	ზოგჯერ
თავის ტკივილი	იშვიათად	ხშირად

სკოლის დირექტორების არჩევნები

დედოფლისწყაროს საჯარო სკოლებში დირექტორების არჩევნები დაიწყო. განათლების სამინისტრომ 15-დან 8 სკოლაში დასამტკიცებლად დირექტორის კანდიდატი წარადგინა. არხილოსკალოსა და ზემო ქედის №2 სკოლაში დირექტორი უკვე აირჩიეს, ამ ორ სკოლაში იგივე დირექტორები გააგრძელებენ მეორე ვადით მუშაობას. ახალი დირექტორის არჩევა მხოლოდ ორ სკოლაში მოუწევთ, დანარჩენ სკოლებში ხელმძღვანელი თითქმის არ იცვლება.

დედოფლისწყაროს პირველ საჯარო სკოლაში სამინისტრომ დირექტორობის კანდიდატად მოქმედი დირექტორის, **ეთერ ოთარაშვილის** კანდიდატურა წარადგინა. მას ახლახან დირექტორების სასერტიფიკაციო გამოცდები არ ჩაუბარებია. გამოცდები წარმატებით გაიარა ამავე სკოლის პედაგოგმა **თეონა ღონღაძემ,** რომელმაც გამსვლელი ქულაც მოაგროვა და მოგვიანებით სერტიფიკატიც მიიღო. თუმცა, ამის მიუხედავად, სამინისტროს მისი კანდიდატურა არსად წარუდგენია. არჩევანი კვლავაც მოქმედ კანდიდატზე შეჩერდა. სამეურვეო საბჭოში კანდიდატი პროგრამით 16 ოქტომბერს წარდგება, სამეურვეო საბჭო კი კანდიდატს 17 ოქტომბერს აირჩევს.

ეთერ ოთარაშვილი: „მხოლოდ თელავში გასაუბრება გავიარე, რადგან სერტიფიცირებული უკვე ვიყავი. სვოტ ანალიზი უნდა წარვადგინო, ძლიერ და სუსტ მხარეებზე გავამახვილებ ყურადღებას. ჩემთვის ამ სკოლის ცხოვრება კარგადაა ნაცნობი. სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგების წინაშე უნდა ვისაუბრო იმაზე, რაც ამ წლების განმავლობაში გავაკეთე, ასევე იმაზეც, რასაც სამომავლოდ ვაპირებთ. რისკებსა და შესაძლებლობების დაძლევის გზებზე ვისაუბრებთ, სამომავლო გეგმებზე. გარანტირებული ცხოვრებაში არაფერია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩემი გამოცდილებითა და ურთიერთობებით, ბავშვებთან, მშობლებთან, თუ კოლექტივთან, ვფიქრობ, მხარდაჭერას მივიღებ. რადგან, ყველაფერს ისე ვაკეთებდი, როგორც სკოლის საჭიროებები მოითხოვდა. თუმცა, არ მაქვს გარანტია, რომ საბჭოს ყველა წევრი მხარს დამიჭერს. ჩვენი კიდევ ერთი კანდიდატი თეონა ღონღაძეც კონკურსში ბოლომდე გავიდა, სერთიფიკატიც აიღო. ბოლო, გასაუბრების ეტაპზე ერთად ვიყავით წასული. ჩვენ კოლეგები ვართ, პრობლემა არ გვაქვს.თუ ის იქნებოდა წარდგენილი მე ნამდვილად გვერდში დავუდგებოდი და გამიხარდებოდა. ანალოგიურად იქნება ისიც. ჩვენ კოლეგიალობასა და ურთიერთობაში არანაირი პრობლემა არ გვაქვს. გვერდში მიდგას ის ახლაც“.

ქალაქ დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოში დირექტორობის კანდიდატად კვლავაც მოქმედი დირექტორი **ლალი იაკობიშვილი-ჩერქეზიშვილია** წარდგენილი. როგორც სამეურვეო საბჭოს მდივანმა ნონა ტოკლიკიშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, გასული წლები მეორე სკოლისთვის საკმაოდ ნაყოფიერი იყო, საინტერესოა კანდიდატის სამომავლო პროგრამაც, ამდენად თავად აპირებს კანდიდატს მხარი დაუჭიროს.

„მე პირადად მისი დემოკრატიული მიდგომები ძალიან მომწონს, გაგრძელდება იგივე ღირებულებებით მუშაობა, რაც ამ სკოლას მანამდე ჰქონდა. გასულ წლებში ჩვენს სკოლას უამრავი მიღწევა და წარმატება ჰქონდა, რაც სკოლის ხელმძღვანელობის დამსახურებაცაა. გავეცანი სამოქმედო გეგმას და აქცენტი აქვს გაკეთებული მშობლების ჩართულობაზე, მეწარმეობის განვითარებაზე. ჩვენთან უკვე მოქმედებს მეწარმეთა ლაბორატორია და ინოვაციებზე ამახვილებს ყურადღებას,“ – აღნიშნავს ნონა ტოკლიკიშვილი.

არხილოსკალოს სკოლის დირექტორად სამეურვეო საბჭომ მოქმედი დირექტორი **მაია სიმონიძე** 13 ოქტომბერს უკვე აირჩია. ის სკოლას 2014 წლიდან ხელმძღვანელობს.

მაია სიმონიძე: „სამეურვეო საბჭოს შვიდივე წევრმა მხარი დამიჭირა. სხვა კონკურენტი არ მყოლია. მხოლოდ გასაუბრება გავიარე, რადგან, დირექტორის სერთიფიკატი უკვე მქონდა. რაც შეეხება გეგმებს, პირველ რიგში სკოლის ავტორიზაციის გასავლელად მოვემზადებით. ასევე, ჩვენი სკოლის ბაზაზე პროფესიული განათლების მიცემის უფლება მოვიპოვეთ, ავტორიზაცია უნდა გავიაროთ პროფესიული უნარების სააგენტოსთან, რაც იმას ნიშნავს, რომ პროფესიულ კოლეჯ „აისთან“ ერთად გაზაფხულზე ბავშვებმა უკვე მიიღეს ასეთი სერთიფიკატები. აიტი მიმართულებით, თექისა და დეკორატიული ქსოვილების ხელოვნება და სერთიფიცირების მოპოვების შემდეგ ჩვენივე სოფელში, სკოლის შენობაში იქნება შესაძლებელი პროფესიულ განათლებას დაეუფლნენ. ეს იქნება როგორც მოსწავლეებისთვის, ისე ზრდასრულებისთვის. ამ ზონის სოფლებისთვის საინტერესო იქნება, ასევე ვგეგმავთ მებოსტნეობას. მართალია ავტორიზაციის პროცესი რთულია, მაგრამ დიდი გამოცდილება შევიძინე და აუცილებლად შევძლებთ. გაეროს წარმომადგენლებს ამ პროექტის განხორციელება სურდათ რაიონულ ცენტრს მოწყვეტილ სოფლებში და ჩვენთანაც იმყოფებოდნენ. საქართველოში სულ 10 სკოლა შეირჩა საამისოდ და ერთერთია არხილოსკალოს სკოლა. რა თქმა უნდა ეს ჩემი დამსახურებაც იყო და რამდენიმე ეტაპი უკვე გავიარეთ. სოფლები იცლება, აღარ დარჩა ძველი გამოცდილი კადრები და აუცილებელია მოხდეს ახალი სპეციალისტების გაზრდა. ყოველთვის ვმუშაობდი ამ საკითხზე 2016 წლიდან კი მოსწავლეთა შრომითი უნარების პროგრამა იყო და მასში ჩავერთეთ. ამიტომ თექისა და გარკვეული ტექნიკური აღჭურვილობა უკვე გვაქვს. კომპიუტერული კლასიც უკვე გაგვიკეთეს“.

მოქმედი დირექტორი იყო წარდგენილი ზემო ქედის №2 საჯარო სკოლაშიც. თამარ ნებიერიძე სკოლას ერთი ვადით უკვე ხელმძღვანელობდა. არჩევნები 13 ოქტომბერს შედგა,

თამარ ნებიერიძე: „საბჭო რვა კაციანია, ერთი თანამშრომელი შვებულებაში იყო და სხდიომას არ ესწრებოდა, ასევე არ გამოცხადდა კიდევ ერთი წევრი, რომელიც მშობლის კვოტითაა საბჭოში, დანარჩენმა ექვსივე წევრმა მხარი დამიჭირა და სრული მხარდაჭერით კიდევ ერთხელ ამირჩიეს დირექტორად. დიდი მადლობა ნდობისა და მხარდაჭერისთვის“.

ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექტორად სამეურვეო საბჭოს **თამარ ქეთელაურის** კანდიდატურა წარუდგინეს, მან დირექტორის სერტიფიკატი ახლახან მოიპოვა, თუმცა ამავე სკოლის დირექტორის მოვალეობას 2022 წლის ივნისიდან უკვე ასრულებდა. როგორც ხორნაბუჯის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **ჟანა ბაბაიანი** „შირაქს“ ეუბნება, საბჭო არჩევნებს 17 ოქტომბერს გამართავს.

მოქმედი დირექტორის კანდიდატურაა წარდგენილი სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლაშიც. **ნინო სულიაშვილი-არაგული** უკვე რამდენიმე წელია ამ სკოლას ხელმძღვანელობს. რამდენიმე თვის წინ „შირაქისთვის“ მიცემულ ინტერვიუში სულიაშვილი აცხადებდა, რომ საპენსიო ასაკის მოახლოების გამო ამ ვადის ბოლომდე მიყვანას ვერ შეძლებდა, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობის სურვილი მაინც ჰქონდა.

ახალი კადრია წარდგენილი ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოში. **ხათუნა მაძღარაშვილი** ამ სოფლის მკვიდრია, თუმცა სოფელ არბოშიკის სკოლაში ასწავლის. სკოლის დირექტორობა ისევ სურდა ზემო მაჩხაანის სკოლის მოქმედ დირექტორს მაია ხუნაშვილს, თუმცა სამინისტროს მისი კანდიდატურა არ წარუდგენია, ამიტომ ამბობს, რომ პროტესტი აღარ გამოუხატავს.

როგორც ოზაანის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე სოფიო ნარინდოშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, მათთან დარეგისტრირდა დირექტორობის კანდიდატი **ანა ღათიბაშვილი,** რომელიც პედაგოგი არ არის. თუმცა, საბჭო აპირებს მას მხარდაჭერა გამოუცხადოს, რადგან კანდიდატი კომუნიკაბელური და საკმაოდ განათლებულია. მისი თქმით, კანდიდატი ადგილობრივია და მას ფიზიკა-მათემატიკური განათლება აქვს.

სოფელ სამრეკლოს სკოლაში ორმა კანდიდატმა გადალახა ზღვარი, თუმცა ამ ეტაპზე სამინისტრომ არცერთი მათგანი არ წარადგინა. ერთ-ერთი კანდიდატი **თამარ ყოჩიაშვილი** ამბობს, რომ ინფორმაცია კონფიდენციალურია. თუმცა, „შირაქის“ ინფორმაციით, გასაუბრების ბოლო ეტაპი მან ვერ გადალახა. **არჩევნების გარეშე დარჩა სამი სერტიფიცირებული კანდიდატი, რომლებიც სამინისტროს არსად არ წარუდგენია. სამრეკლოდან ეკატერინე ჯავახიშვილი, დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლიდან თეონა ღონღაძე და სოფელ გამარჯვებიდან მაია პოპიაშვილი.**

მაკა ჯანაშვილი: ***(საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი):*** „არჩევნების პროცესი ყველანაირი წესის დაცვით მიმდინარეობს, მოლოდინები კარგი გვაქვს. ყველა არჩეულ დირექტორს წარმატებებს ვუსურვებ. უცხო კანდიდატი მხოლოდ ოზაანშია. ვინაიდან სკოლიდან არ გამოითქვა სურვილი, დარეგისტრირდა გარეშე პირი. ანა ღათიბაშვილმა ყველა ეტაპი წარმატებით გადალახა და სამინისტრომ სამეურვეო საბჭოს წარუდგინა. კიდევ გვრჩება სამი სერტიფიცირებული კანდიდატი, რომელიც ამ არჩევნებში არ მონაწილეობს. კანონმდებლობის მიხედვით, სოფელ გამარჯვების სკოლაში წარდგენილ კანდიდატს ორ წელში საპენსიო ასაკის მიღწევის გამო მოუწევს თანამდებობა დატოვოს. კანდიდატებს შეუძლიათ ამ შემთხვევაში იყარონ კენჭი ამ პოზიციის დასაკავებლად. მანამდე გამოცხადდება თუ არა სხვა არჩევნები, ან რომელიმე სკოლაში დაინიშნება თუ არა დირექტორის არჩევნები, ან რა გადაწყვეტილებას მიიღებს სამინისტრო, ამას ვერ გეტყვით. ამჟამად მიმდინარეობს ის პროცესი, რაც სამინისტროს მიერ ჩამოეშვა და ეს მხოლოდ რვა სკოლას შეეხო“.

არჩევნები რვა სკოლაშია, თუმცა უკვე რამდენიმე თვეა დირექტორი შეიცვალა კიდევ ორ სკოლაში – სოფელ არბოშიკისა და სამთაწყაროს სკოლებში. ამ სოფლებში დირექტორის მოვალეობის შემსრულებლები **მანანა ჭიღიტაშვილი** და **ვარლამ თაგოშვილი** საკუთარი სურვილით გადადგნენ და გასული თვეების განმავლობაში დირექტორის მოვალეობას არბოშიკში მისი მოადგილე ზოია ბატიაშვილი, ხოლო სამთაწყაროში ასევე მოადგილე, ელენე გრიგორიადისი ასრულებენ.

ილია მარტყოფლიშვილი

პედაგოგად დაბადებული

პირველ რიგში მინდა მივესალმო ჩვენს ხელისუფლებას, განათლების სამინისტროს, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მესვეურებს, იმ საამაყო დღის დამკვიდრებისთვის, რომელიც სრულიად საქართველოს პედკოლექტივის დაფასებას გულისხმობს. მასწავლებლის ეროვნული დღე კალენდარზე აღნიშნული იქნება ყოველ 27 ოქტომბერს. ასევე, მადლობა გაზეთ „შირაქის რედაქციას, რადგან ხშირად ბეჭდავენ ღირსეულ პედაგოგთა შესახებ საგაზეთო სტატიებს, როგორც მოქმედ, ისე პენსიაზე გასულ, ან გარდაცვლილი მასწავლებლების შესახებ.

ამჯერად, სურვილი გამიჩნდა, ქვემო ქედის საჯარო სკოლის ან გარდაცვლილი გეოგრაფიის საუკეთესო მასწავლებლის **თინა აფშინაშვილის** ნამოღვაწარის შესახებ გაცნობოთ. თინათინ (თინა) იოსების ასული აფშინაშვილი დაიბადა 1926 წლის 18 ივლისს სოფელ ზემო ქედში. მაშინ საავადმყოფო ზემო ქედში იყო. დაბადებულა დაუღალავი მშობლების ოჯახში, რომლებთანაც მიიღო შრომის სიყვარულის დიდი დოზა. ეს გამოადგა მთელი ცხოვრების მანძილზე. თურმე იმ პერიოდში ქვემო ქედში მხოლოდ დაწყებითი — 4 წლიანი სკოლა ფუნქციონირებდა. ამიტომ შემდეგ სწავლა ზემო ქედის საშუალო სკოლაში გაუგრძელებია, სადაც ქედების ყველა მოსწავლე სწავლობდა. თინა მასწავლებელმა დაამთავრა არასრული საშუალო სკოლა — 8 კლასი. 16 წლის ასაკში სწავლა განაგრძო თელავის პედაგოგიურ სასწავლებელში — დაწყებითი კლასის მასწავლებლის სტატუსით. სასწავლებელი დაამთავრა 1944 წელს. 18 წლის იქნებოდა, როცა სოფელ არხილოსკალოს დაწყებითების პედაგოგად მოვლენია. ორი წლის შემდეგ, 1946 წლიდან მშობლიურ სკოლას სწვევია და თავისი სპეციალობით გაუგრძელებია საყვარელი საქმის კეთება. როცა პროფესიული საქმის საიდუმლოს ეზიარა, რთულ, მაგრამ სასიამოვნო საქმეს, აღზრდის საიდუმლოებას, მადა ჭამაში მოდისო და გადაწყვიტა უმაღლესი განათლება მიეღო. ამჯერად საყვარელი საგნის, გეოგრაფიის განხრით.

აი, ახალი დამთავრებული იყო 1941-45 წლის ფაშისტურ გერმანიასთან ომი და 1946 წელს გახდა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი. პარალელურად დაბრუნდა მშობლიურ სკოლაში და ახალი პროფესიით, 40 წელი უწყვეტად მასწავლებლობდა.

— როგორი იყო თინა მასწავლებელი პედაგოგის ამპლუაში?

— მრავალი თაობა აღზარდა, არა ტრაფარეტულად, არამედ ნამდვილად პატრიოტული სულისკვეთებით. ნამდვილ შრომისმოყვარეებად აღზარდა, რასაც მოჰყვა მთელი სოფლის დიდი სიყვარული. უყვარდა დიდსა და პატარას, მოსწავლეებსაც და მათ მშობლებსაც. მიუხედავად იმისა, რომ მკაცრი, პრინციპული და სამართლიანი იყო, მოსწავლეების მიმართ ცოდნის მომთხოვნი იყო. შინაგანად თბილი, ემოციური. ჯადოქრულად შეეძლო მოზარდის გულისა და გონებისკენ მიმავალი გზის გაკვალვა. სწავლას უადვილებდა ბავშვებს და მიზანს მაღალი დოზით აღწევდა. ასწავლიდა არამარტო საქართველოს გეოგრაფიას, არამედ მსოფლიო ღირსშესანიშნაობას.

პროგრამული მასალის პარალელურად მას საკუთარი მიდგომებიც ჰქონდა, როგორც ყველა წარმატებულ მასწავლებელს შეეფერება. სწორედ ეს ეხმარებოდა მაღალი შედეგის მიღწევაში. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მშობლიური ქვეყნის არამარტო ზერელედ შესწავლას, არამედ ძირფესვიანად აყვარებდა მშობელი ქვეყნის გეოგრაფიას. აღვივებდა მათში დიდ პატრიოტულ გრძნობებს. თინა მასწავლებლის სწავლების მეთოდებს ძირფესვიანად ვერ გავიხსენებთ, მაგრამ ვიცი რით იჩენდა განსაკუთრებულად რუკების შესწავლა-შეფასებას. იმ პერიოდში შესაძლებელ რესურსებზე დაყრდნობით ხშირად მიჰყავდა მოსწავლეები საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად. ოღონდ, წინაპირობად დაწესებული ჰქონდა დასათვალიერებელი ობიექტების ისტორიის შესწავლა და თეორიული ცოდნის განმტკიცება. შემდეგ კი ექსკურსიიდან დაბრუნებულებს ავალებდა დაეწერათ თხზულებები ნახულის შესახებ. ჩანაწერებში უნდა შეედარებინათ, პარალელი გაევლოთ მსგავსება-განსხვავებებთან.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მომავალი აბიტურიენტები ცოდნის მაღალი მაჩვენებლით აღჭურვილები მიდიოდნენ მშობლიური სოფლიდან მისაღებ გამოცდებზე. პედაგოგს ყოველ სასწავლო წელს ჩამოყალიბებული ჰქონდა გეოგრაფიის წრე, რომლის წევრებსაც ამუშავებდა არაპროგრამულ, უფრო რთულ საკითხებზე. არ მავიწყდება ის მომენტი, როდესაც თინა მასწავლებელმა (დირექტორის თანადგომით) სკოლის ეზოში დაამონტაჟებინა ამინდის პროგნოზის საზომი აპარატი, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია არა მარტო მოსწავლეებში, არამედ პედაგოგებსა და მშობლებშიც. დაწესებული იყო მორიგეობა და წრის წევრები კვირის ბოლოს წარმოდგენილი მასალებით დასკვნებს აკეთებდნენ, როგორი იქნებოდა მომდევნო კვირის ამინდი.

ეს ყველაფერი არ იყო, თინა მასწავლებელი წარჩინებულ და ნიჭიერ ბავშვებს (ზარმაცებსაც), მათივე სურვილით ამუშავებინებდა საინტერესო საკითხებს. მონაწილეობდნენ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში, საიდანაც გამარჯვებულნი და დაჯილდოვებულნი ბრუნდებოდნენ მასწავლებელთან ერთად. ასევე, რესპუბლიკურ კონკურსებში გზავნიდნენ თვითნაკეთ სათამაშოებს, იქაც იგივე შედეგებს აღწევდნენ.

ამ სტატიის წერისას ხელთ მიპყრია განათლების სამინისტროს მიერ გაცემული „საპატიო სიგელი“ — პედაგოგს, თინათინ აფშინაშვილს (1976 წ); იგივე სამინისტროდან „საპატიო სიგელი“ ატესტაციასთან მიღებული წარმატებისთვის (1978 წ); ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კომიტეტის პრეზიდიუმის ვარსკვლავი (1970 წ);

და მაინც, პედაგოგისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი — საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდებაა, რომელიც მიანიჭა საქართველოს უმაღლესმა საბჭომ და პრეზიდიუმმა (1974 წ. 4 X); არც ესაა ყველაფერი... კიდევ ბევრია მასზე სათქმელი... სამწუხაროდ, თუ სასიხარულოდ, ბუნებას თავისი კანონები აქვს... ამდენმა დაუღალავმა შრომამ, თუ ფიქრმა და სხვადასხვა ფიზიკურმა ტკივილმა ჩვენი საყვარელი თინა მასწავლებელი მიიყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ სკოლა და უსაყვარლესი კოლეგები დაეტოვებინა.

ქალბატონმა თინამ ორი ღვიძლი შვილი გაზარდა. ნანი პაპიაშვილი ამჟამად ქვემო ქედის სოფლის ექიმია, ვაჟი — გივი პაპიაშვილი ინჟინერია. ორივე წარმატებული მოსწავლე და შემდეგში სტუდენტი იყო. მამა ადრე გარდაეცვალათ, მაგრამ დედამ ეს არ აგრძნობინათ და სიცოცხლის ბოლომდე მამობაც გაუწია. ლოგიკურია, რომ შვილები ამაყობენ ღირსეული დედის აღზრდილები რომ არიან.

ქალიშვილი იხსენებს: ***„დედას კატეგორიული გადაწყვეტილება იყო სკოლის დატოვება. ყვებოდა სკოლის იმჟამინდელი დირექტორის, მისივე ყოფილი მოწაფის, პატივცემული მასწავლებლის, მარიამ ქავთარაძის იმ დიდი ხვეწნა-მუდარის შესახებ, რა დროსაც ის თინა მასწავლებელს თხოვდა ერთი წელი მაინც დარჩენილიყო სკოლაში. თუმცა, მან გადაწყვეტილება არ შეიცვალა. 1988 წელს, 62 წლის ასაკში დაემშვიდობა თავის საყვარელ საქმესა და ადგილს. 20 წელი იცოცხლა დედამ — განაგრძობს ნანი — სკოლიდან დაბრუნებულ შვილებს ცალ-ცალკე გვეკითხებოდა მოსწავლეებისა და მასწავლებლების წარმატებების შესახებ. ამ ქვეყნად ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული“...***

თინა მასწავლებელი 2008 წლის 20 დეკემბერს, 82 წლისა წავიდა. წავიდა, მაგრამ სოფელმა ის გარდაცვლილად არ მიიჩნია და არც ახლა თვლიან. ის გარდაიცვალა, მაგრამ მისი ხსოვნა მუდამ ცოცხალია. დავით გურამიშვილის ბრძნულ ტაეპს მოვიშველიებ:

„სულს მიჰყვება ხორცით ნაქნარი,
ავსა ავი, კარგსა კარგი“.

სწორედ ამიტომ შეგვიძლია ქედელებს თამამად ვთქვათ, რომ თინა მასწავლებელი კი არ გარდაიცვალა, ჩვენში ცოცხლობს.

მოგონებები

ასლან ბეროშვილი *(ნამოწაფარი):* „უკვე 70 წლის ვარ, თინა მასწავლებლის გეოგრაფიის წრის წევრი ვიყავი. მინგეჩაურის წყალსაცავზე უნდა წავეყვანეთ. გარკვეულ მიზეზთა გამო ექსკურსია ვერ შედგა. სასწავლო წელი იწურებოდა, ჩვენ კი დამამთავრებელ კლასში ვიყავით. ამასობაში სკოლაც დავამთავრეთ და ბიჭები სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაგვიწვიეს. დარდი გამყვა იმ ექსკურსიისა, წერილი გავუგზავნე მასწავლებელს და ვთხოვე, ერთი ორი სიტყვით პასუხი მოეწერა. მომწერა, რომ ექსკურსიაზე იყვნენ და ძალიან გამიხარდა“.

ნანი ექიმი *(შვილი):* „უფლებას არ გვაძლევდა სკოლაში დედა დაგვეძახა. მან მიპასუხა, რომ სკოლაში ყველასთვის მასწავლებელი ვარო. სკოლის დერეფანში როდესაც მისი განუმეორებელი ატრიბუტი, რუკის საჩვენებელი ჯოხი ეჭირა, ვკითხე: როდის იქნება, როცა ჩემი და ჩემი ძმისთვის სახლის გარეთ, სკოლაშიც დედა იქნებიო? მისი პასუხი იყო, როცა გაიზრდებით, ისწავლით, შეიგნებთ, ცხოვრების სწორი გზით, დამოუკიდებელ გზაზე გავლას ისწავლითო“.

ასმათ ხომასურიძე *(მასწავლებელი):* „სამართლიანად მკაცრი იყო, ყველა საკითხს ისე საინტერესოდ და გასაგებად გვიხსნიდა, შეუძლებელი იყო ყურადღებით არ მოგესმინა და არ გაგეთავისებინა მოსმენილი გაკვეთილი. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რუკით სარგებლობის წესებს და მისით კონტურული რუკების შედგენის საიდუმლოების ამოხსნას. განსაკუთრებით გვაოცებდა იმით, რომ რუკასთან მუშაობისას იდგა ზურგით და საჩვენებელი ჯოხით უკუღმა მდგარი ზუსტად შემოხაზავდა ასახსნელ ობიექტებს. ეს ჩვენთვის საოცრება იყო, რომელიც მასწავლებლისადმი უდიდეს პატივისცემას და დიდ ნდობას გვიღვივებდა“.

„მეც მქონდა ბედნიერება, თინა მასწავლებლის გვერდით 18 სასწავლო წლის განმავლობაში მემუშავა. ფასდაუდებელი რჩევები მიმეღო მისგან და მესწავლა, როგორ დავმდგარიყავი მეც ფეხზე სწორად და მყარად. ასევე თბილი დამოკიდებულება ჰქონდა პედკოლექტივთან. განსაკუთრებით მეგობრობდა თავისი თაობის მასწავლებლებთან. აწ გარდაცვლილ თამარ ოთიურთან, მატრო პაპუაშვილთან და მზექალა (ნინო) ჩიტოშვილთან. რაც შეეხება ახალგაზრდა პედაგოგებთან მის ურთიერთობას, უმრავლესობა მისი ნამოწაფარი იყო. საუკეთესო რჩევებს აძლევდა, რა გზით უნდა ევლოთ სრულყოფილების მისაღწევად. მოგონებების ამოწურვა შეუძლებელია.

ძვირფასო მკითხველო, კოლეგებო, ვფიქრობ, ვინც იცნობდით თინა მასწავლებელს, ან გაგიგონიათ მისი წარმატებების შესახებ, ამ სტატიის წაკითხვისასაც დარწმუნდებით, რომ ის ნამდვილად მასწავლებლად იყო დაბადებული. რაც დაამტკიცა თავისი ცხოვრებით. ახლა კი ნამდვილად დიდი შოთას გენიალურ სიტყვებს მივუსადაგებ: კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების!... ჭეშმარიტად“...

გულნარა ტვილდიანი,
ქვემო ქედის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

პედაგოგობა რომ ურთულესი პროფესიაა, დღეს ამაზე აღარავინ დავობს. და თუ ღირსეულად ემსახურები მომავალი თაობის აღზრდას, ზრუნავ მათ სულიერსა თუ ფიზიკურ განვითარებაზე, უნერგავ ეროვნულ-პატრიოტულ იდეებს, ასწავლი სიკეთეს, უვითარებ თანაგანცდის უნარს... ამ ყველაფრის შედეგს აუცილებლად მოიმკი. და მასწავლებლისთვის ამაზე უფრო დიდი ჯილდო რა უნდა იყოს?!

ჩვენი თინა მასწავლებელი ათწლეულების მანძილზე იმკიდა იმ კეთილი მარცვლის ნაყოფს, რომელსაც თითოეულ მოსწავლეში დებდა... ახლაც თვალწინ მიდგას მისი სადა, მაგრამ დახვეწილი, პედაგოგისათვის შესაფერისი ჩაცმის სტილი, ვარცხნილობა, მანერები... გეოგრაფიის კაბინეტი მოსწავლეებისთვის ხომ მთელი პლანეტა იყო... თინა აფშინაშვილის ძალისხმევით ფაქიზად მოვლილი რუკები მთელი მსოფლიოს გარშემო გვამოგზაურებდა. ზღვებსა და ოკეანეებს, მთებსა და უდაბნოებს შემოგვატარებდა... ოცნებებში ევერესტსა და იალბუზსაც კი დაგვალაშქრინებდა... ყველას გვიყვარდა თინა მასწავლებელი და მის საგანსაც ინტერესით ვსწავლობდით. ბიჭების მიმართ განსაკუთრებულად მომთხოვნი იყო, ზომიერად მკაცრი, მაგრამ ამავე დროს თითოეული ბავშვის სულში ჩახედვის იშვიათი უნარის მქონე თინა მასწავლებელი გარშემომყოფთა პატივისცემას და მოწიწებას იმსახურებდა. ამიტომაც, მისი ნამოწაფარები დღესაც სიყვარულით იხსენებენ მის ფრთიან გამონათქვამებს. განსაკუთრებით რჩევა-შეგონებებს, ანდაც სახუმარო რეპლიკებს...

დღეს, როცა უკვე მეც პედაგოგიური მოღვაწეობის დაისს ვუახლოვდები, ვფიქრობ, რომ თინა მასწავლებლის მაღალი პროფესიონალიზმი უმეტესწილად განპირობებული იყო იმ აუცილებლობით, რომ მასწავლებლად თუ არ ხარ დაბადებული, ფონს ვერ გახვალ და ვერც მხოლოდ საგნის ცოდნით მიაღწევ იმდენს, რაც თინა მასწავლებელმა შეძლო. დიახ, ის პედაგოგად დაიბადა და ამიტომაც მოიპოვა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება!

მე, როგორც მისმა რიგითმა მოსწავლემ, მინდა იმიერ ქვეყანაში კიდევ ერთხელ მივულოცო მასწავლებლის ეროვნული დღე და ხმამაღლა ვუთხრა, რომ „თინა მასწავლებელო, მასწავლებლობას გმირობად გითვლის ერი!“

ლელა დარძული,
ქვემო ქედის სკოლის დირექტორი.

წარმატებები ჭადრაკში

ა.წ. 6-9 ოქტომბერს ქ. ახალციხეში გაიმართა საჭადრაკო ფესტივალი. ტურნირში მონაწილეობდა 100 მოჭადრაკე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ტურნირი ჩატარდა შვეიცარიული სისტემით - 7 ტურად.

მონაწილეთა შორის იყვნენ ევროპის პრიზიორები (ორი ბავშვი) და 11 საქართველოს ჩემპიონი. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი იყი სამი მოჭადრაკით: ნიკოლოზ იაკობიშვილი - 8 წლის, მათე მარტყოფლიშვილი - 9 წლის და ოთარ ელოშვილი - 13 წლის. მათე მარტყოფლიშვილმა 10 წლამდე ასაკის ვაჟთა შეჯიბრში მესამე ადგილი დაიკავა. ოთარ ელოშვილი 14 წლამდე ასაკში ასევე მესამე ადგილზე გავიდა, ხოლო ახალბედა ნიკოლოზ იაკობიშვილი (იგი მხოლოდ 6 თვეა, რაც ჭადრაკში მეცადინეობს) მეოთხე ადგილს დასჯერდა. შეჯიბრს მსაჯობას უწევდა ალექსანდრე არსენიძე, რომელიც ფიდეს საერთაშორისო მსაჯია.

გიორგი (გოგი) კიკილაშვილი ***(ჭადრაკის წრის პედაგოგი, ჭადრაკის კახეთის ფედერაციის გენერალური მდივანი):*** „საინტერესო ტურნირი იყო და ნაყოფიერი გამოდგა ჩვენი მონაწილეობა. უნდა აღინიშნოს **მათე მარტყოფლიშვილის** კარგი თამაში. ბოლო (VII-ე) ტურის წინ მათემ 5 ქულა დააგროვა და ვინაიდან ამ ტურში ხვდებოდა სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფ მოჭადრაკეს, ტურნირის ყველა მესვეური მათეს მიიჩნევდა ფავორიტად. ყაიმის შემთხვევაში კი მე-2 ადგილი გარანტირებული იყო, მაგრამ თავი იჩინა გამოუცდელობის სინდრომმა (სხვადასხვა მიზეზის გამო მას ამგვარ სერიოზულ ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილება არა აქვს), მათე დამარცხდა და მესამე ადგილზე აღმოჩნდა. იმედია, მომავალ ჩემპიონატებში ჩვენი მოჭადრაკეები უკეთეს შედეგებს დადებენ.

– ტურნირის პარალელურად შემეცნებითი ექსკურსიების შესაძლებლობაც გქონდათ...

– ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ახალციხეში ყოფნის პერიოდში, ღვთის შეწევნით, საშუალება მოგვეცა, ბავშვები გასცნობოდნენ სამცხე-ჯავახეთის ღირშესანიშნავ ადგილებს (მაგ. რაბათის ციხე-სიმაგრე), მოგვეოცა რელიგიური სიწმინდეები (საფარას წმ. საბა განწმენდილის სახელობის მონასტერი, ვარძიის დედათა მონასტერი და სხვა); ბავშვები მოიხიბლნენ ქართული საგანძურების სიდიადით- კლდეში ნაკვეთი ქალაქი - ვარძია, ფარავნის წყლისა და მტკვრის შეერთების ადგილზე „ცაში აზიდული ხერთვისის ციხე. არ დამავიწყდება ბავშვები ანთებული თვალები, როდესაც ისინი გზიდან შესცქეროდნენ თმოგვის ციხეს. დარწმუნებული ვარ, ამ ბავშვებს არასოდეს დაავიწყდება იქ ნახული და განცდილი. ბილოს მინდა დიდი მადლობა ვუთხრა დედოლისწყაროს მერიის, კულტურისა და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელობის ახალციხის სასჭადრაკო ფესტივალში მონაწილეობის დაფინანსებისათვის.

ამჯერად ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა ჩვენი გამგზავრება. აქამდე ჩვენი სახსრებით გვიწევდა შეჯიბრებში მონაწილეობის მიღება. მთლიანობაში ჩვენი წრე ამჟამად 16 ბავშვს აერთიანებს, თუმცა აქედან სატურნირო მონაწილეობის შესაძლებლობა 4 მათგანს აქვს. იმედი მაქვს, სამომავლოდ სხვა მოთამაშეებიც გაძლიერდებიან და შედეგს აჩვენებენ. ამჟამად კვირაში ორი გაკვეთილი გვაქვს, თუმცა ზაფხულის განმავლობაში კვირაში 4 გაკვეთილი გვქონდა, დღეში 2-3 საათიანი მეცადინეობა.

– ზოგადად, რა ტრადიციები არსებობდა ჩვენს რაიონში ჭადრაკის კუთხით?

– ე.წ. ოქროს ხანა იყო დაახლოებით 1980-90 წლებში, როცა გივი მეხრიშვილი და მისი მეგობრები თამაშობდნენ ამ სპორტს. სპორტის ოსტატობის კანდიდატი და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო. ეს იმ დროინდელი წითელწყაროსათვის საკმაოდ მნიშვნელოვან შედეგად ითვლებოდა. ამ შედეგის მიღწევა ისე მოხერხდა, რომ ჩვენს რაიონს ჭადრაკის პროფესიონალი პედაგოგი არ ჰყოლია. მოყვარულებისგან ისწავლეს ჭადრაკის თამაში. დიდი ინტერესი არსებობდა. მაშინ არა მარტო ჩვენს რაიონსა და ქვეყანაში, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ჭადრაკის შესწავლის ბუმი იყო. სამწუხაროდ, მას მერე ძალიან ჩამოეშვა ფარდა საკმაოდ ხანგრძლივად.

- რას მატებს მოზარდს ჭადრაკი?

- ჭადრაკი არა მხოლოდ სპორტული სახეობაა, არამედ მოიცავს ფილოსოფიისა და მეცნიერების დიდ ელემენტებს. ჭადრაკის დაფის 64 უჯრაზე პრაქტიკულად ჩვენი ყოფიერი ცხოვრება და პერიპეტიები ჩანს. ბოლო ხანს კახეთის რეგიონში მეტი ყურადღება ექცევა ამ სპორტს. ფედერაციის ხელშეწყობით რეგიონის ბევრ მუნიციპალიტეტში აღვადგინეთ ეს სახეობა. ჭადრაკის წრეები გაიხსნა ყვარელში, ახმეტაში... წარმატება გვაქვს იმ თვალსაზრისითაც, რომ ლაგოდეხელი 7 წლის მოსწავლე სოფია ლიმარი 2023 წლის რვა წლამდე ასაკის ბავშვებში ევროპის ვიცე ჩემპიონია.

ესაუბრა
ილია მარტყოფლიშვილი

საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა სარეკორდო ანგარიშით მოიგო

საქართველოს ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა არსებობის ისტორიაში პირველად შეძლო ერთ თამაშში რვა გოლის გატანა და ამასთან, დიდი ანგარიშით მოგების ახალი რეკორდიც დაამყარა.

გუნდმა თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, ტაილანდის ნაკრებს უმასპინძლა ამხანაგურ შეხვედრაში და ანგარიშით 8:0 დაამარცხა.

რვა გოლიდან ოთხი გიორგი მიქაუტაძის ანგარიშზეა, რითაც ისიც ახალი რეკორდსმენი გახდა. აქამდე ერთ მატჩში საქართველოს ნაკრების არცერთ ფეხბურთელს არ შეუსრულებია „პოკერი“. მიქაუტაძის გარდა, კიდევ სამმა ქართველმა ფეხბურთელმა შეძლო ტაილანდელთა კარის აღება. ზურიკო დავითაშვილმა თავი ორი გოლით გამოიჩინა. თითო-თითო გაიტანეს ლუკა ლოჩოშვილმა და ხვიჩა კვარაცხელიამ.

მორიგ მატჩს საქართველოს ნაკრები 15 ოქტომბერს გამართავს - ევროპის 2024 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მეექვსე ტურში იგი კვიპროსს თბილისში უმასპინძლებს.



14 წლის გარდაცვლილი გოგონას, აითაჯ შახმაროვას მამას დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი მიენიჭა

14 წლის გოგონას, აითაჯ შახმაროვას მამას, ისა შახმაროვას დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი მიენიჭა.

მამაკაცი რუსთავის პოლიციაში ჩვენებას გუშინ, თითქმის მთელი დღის განმავლობაში აძლევდა. დაზარალებულის უფლებამონაცვლის განცხადებით, ის საქართველოში წლების განმავლობაში არ იმყოფებოდა და ქვეყანაში მას შემდეგ ჩამოვიდა, რაც შვილი მოუკლეს.

ცნობისთვის, 14 წლის აითაჯ შახმაროვას განზრახ მკვლელობის ბრალდებით მისი ქმარი, 27 წლის ალიმ ასლანოვი დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის ,,ე'' ,,თ'' და ,,კ'' ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა არასრულწლოვანი ოჯახის წევრის მიმართ, ჩადენილი გენდერის ნიშნით), 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება) და 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,დ'' ქვეპუნქტით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული.

სამართალდამცავებმა ქორწინების იძულებისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე, მოკლულის დედა და ბიძა დააკავეს. ორივე მათგანს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული.

გამოძიების ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანის დედისთვის და ბიძისთვის ცნობილი გახდა 14 წლის გოგონას მიმართ ჩადენილი მძიმე კატეგორიის დანაშაულის შესახებ, მათ მიაჩნდათ, რომ არასრულწლოვანს არ ჰქონდა თავისუფალი ნების გამოვლენის და არჩევანის გაკეთების უფლება, აღნიშნული არ შეატყობინეს სამართალდამცავ ორგანოებს და ბავშვს გამტაცებელთან თანაცხოვრება აიძულეს.

მეუღლე ნანა ალადაშვილი, შვილები: ირინა და ირმა გორაშვილები; სიძეები: გელა წიკლაური, შოთა ყავლაშვილი; შვილიშვილები: ნიკოლოზი, ნინო, ელენე, ანა იუწყებიან
ბორის გორაშვილის
გარდაცვალებას. დაიკრძალა 8 ოქტომბერს, დედოფლისწყაროში.

მომავლის საქართველო და ახალი თაობა

ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის მეშვიდე კლასის მოსწავლე თამაზ ალუღიშვილი კომაროვის საშაბათო, STEM სკოლაში ჩაირიცხა და მოიპოვა საქართველოს ბანკის სტიპენდია. თამაზს სწავლასა და საგანმანათლებლო რესურსებს სრულად დაუფინანსებს საქართველოს ბანკი.

STEM სკოლა „საქართველოს ბანკისა“ და კომაროვის სკოლის ერთობლივი პროექტია, რომელიც საქართველოში ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

STEM სკოლამ მოსწავლეთა ორი ნაკადი უკვე წარმატებით მიიღო. საბოლოოდ, ონლაინ სკოლაში სწავლის 2000 მსურველი დარეგისტრირდა, რომელთაგანაც სწავლა 400-მდე მოსწავლემ დაიწყო, ხოლო „საქართველოს ბანკის“ სტიპენდია 100-მა მოსწავლემ მოიპოვა.

პროექტის განსაკუთრებულობა სწორედ განათლების ხელმისაწვდომობა და ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობის მიცემაა. STEM სკოლის მთავარი იდეა კი მომავალი მეცნიერების, ტალანტების პოვნა და მათთვის კარგი საბაზისო ცოდნის მიცემაა. ასეთი ტალანტი დედოფლისწყაროდან ამჯერად თამაზ ალუღიშვილია.

ელიზბარ ალუღიშვილი, თამაზის მამა: „თაზო დაბადებიდან გამორჩეული ბავშვია, გონიერი და მიზანსწრაფული. ტექნიკური საგნებისადმი მიდრეკილება გენეტიკურია, მაგრამ მათემატიკის გარდა ის ყველა საგანს კარგად სწავლობს. უყვარს კითხვა და რთული, კლასგარეშე მათემატიკური ამოცანების ამოხსნა. მისი უნარების განვითარებაში პედაგოგებს დიდი წვლილი მიუძღვით. თაზოს ცხოვრებაშიც იყო პატარა იმედგაცრუებაშარშან მან კომაროვის სკოლაში გადაწყვიტა გამოცდის ჩაბარება, მაგრამ სულ 2 ქულა დააკლდა და ვერ მოხვდა. ძალიან განიცადა, რადგან ეს ცოდნის უკმარისობის გამო კი არ მოუვიდა, არამედ ზედმეტი განცდის გამო.

მიხარია, რომ მან ეს ემოცია დაძლია წელს და მიზანს მიაღწია“.

თეა სხირტლაძე, ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის დირექტორი: „თამაზი ნიჭიერი, განათლებული და მოწესრიგებული ბავშვია, ის არა მარტო მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევა, არამედ სანიმუშო დისციპლინით და კარგი ადამიანური თვისებებითაც. როდესაც დედა(ლილიკო ბოსტოღანაშვილი) მოდის სკოლაში, ყოველთვის მადლობას ვეუბნები ასეთი კარგი შვილის აღზრდისთვის“.

მზია ბაშარული, მათემატიკის მასწავლებელი: „თაზო არის მოწესრიგებული, მათემატიკური აზროვნებით გამორჩეული მოსწავლე. თავის ასაკთან შედარებით განვითარებულია და მისი გონებრივი შესაძლებლობები გაცილებით მაღალი კლასის საპროგრამო მასალას „მოერევა“. ამისი მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ სასკოლო პროგრამის გარეთ არსებული ინტეგრალებიც კი აინტერესებს“.

თამაზის ოცნებაა, მეცნიერი გამოვიდეს და საინტერესო აღმოჩენების სამყაროში შეაბიჯოს. თავისი ნიჭისა და მიზანსწრაფულობის წყალობით, გვჯერა, ის თავის მიზანს აუცილებლად მიაღწევს. გაზეთი „შირაქი“ წარმატებებს უსურვებს მას.

***

STEM მიმართულება თანამედროვე სამყაროში ოთხ ყველაზე მოთხოვნად და მნიშვნელოვან სფეროს - საბუნებისმეტყველო მეცნიერებას, ტექნოლოგიას, ინჟინერიასა და მათემატიკას აერთიანებს. აღნიშნულ მიმართულებებზე მოთხოვნის ზრდის პარალელურად, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში STEM განათლება სკოლის სასწავლო მოდულშიც ჩაემატა. წამყვანი უნივერსიტეტების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების დიდი ნაწილიც, სწორედ მომავალი მეცნიერებისთვის და ინჟინრებისთვის არის განკუთვნილი.

შესაბამისად, STEM სკოლა წარმოადგენს შესაძლებლობას მოსწავლეებისთვის, არა მხოლოდ გამოიყენონ, არამედ თავად შექმნან ინოვაციები.

ერთწლიანი ონლაინ კურსის გავლა მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ. კურსი ორ მოდულს აერთიანებს, პირველი მოდული თეორიულ ნაწილს მოიცავს, ხოლო მეორე - პრაქტიკულს, თუმცა გაკვეთილები ყოველთვის ინტერაქციულია.

პროექტის განხორციელებით, „საქართველოს ბანკის“ მიზანი რეგიონში მცხოვრები მოსწავლეებისთვის STEM მიმართულებით ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდაა. სწორედ ამიტომ, ბანკი ყოველწლიურად სკოლაში ჩარიცხულ, 60 მოსწავლეს სწავლას სრულად უფინანსებს და მათ სასწავლო პროცესში საჭირო მოწყობილობებით უზრუნველყოფს.

STEM სკოლაში ჩარიცხვისთვის მოსწავლეებმა ჩააბარეს გამოცდა, რომელიც სკოლაში უკვე ნასწავლ, STEM სკოლის სასწავლო მასალის დაძლევისთვის მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავდა. როგორც კომაროვის სკოლის დირექტორი ამბობს: „მოსწავლეებისა და მშობლების მხრიდან ასეთი დიდი დაინტერესება იძლევა იმედს, რომ მომავლის საქართველო და ახალი თაობა ფეხს აუწყობს ტექნოლოგიურ პროგრესს. იმედი მაქვს, რომ STEM სკოლის მოსწავლეები ცოდნას საუკეთესო საერთაშორისო უნივერსიტეტებში გაიღრმავებენ, შეძენილ უნარებსა და რესურსებს კი საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ მიმართავენ“.

„საქართველოს ბანკში“ გვჯერა განათლების, ახალგაზრდების და მათი უსაზღვრო შესაძლებლობების. ამიტომ, მიზნად ვისახავთ, მოსწავლეებს მივცეთ წვდომა მაღალი ხარისხის განათლებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს მათ, გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი და შექმნან უკეთესი, უფრო ნათელი მომავალი. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ჩვენ არაერთ პროექტს ვახორციელებთ და ვუჭერთ მხარს, ჩვენი ძალისხმევით კი უკვე 120 000-ზე მეტი ახალგაზრდისთვის შევქმენით განათლების შესაძლებლობა. თუმცა, ჩვენ არ ვჩერდებით და აქტიურად განვაგრძობთ მოსწავლეების მხარდაჭერას“, - აღნიშნავს „საქართველოს ბანკის“ CSR მიმართულების ხელმძღვანელი, ანა ლომთაძე.

ბანკის ინფორმაციით, პროექტის პირველი მიღება ამჟამადაც წარმატებით განაგრძობს სწავლას, მეორე ნაკადმა კი სულ ახლახან დაიწყო სწავლა და პირველი გაკვეთილის ემოციები უკვე გამოსცადა. STEM სკოლა მომავლის პროექტია, რომელიც ცნობისმოყვარე მოსწავლეებს მეცნიერებისთვის ამზადებს. აქ ახალგაზრდები სწავლობენ, რომ კრეატიული იდეები, ფანტაზია და ტექნიკური ცოდნა ერთად ქმნის ინოვაციას, რომელმაც შესაძლოა შეცვალოს ადამიანების ყოველდღიურობა.

ინგა შიოლაშვილი

„ედელვაისი“ მორიგ კონკურსზე

საჩხერეში ქართული საგალობლების ფესტივალი გაიმართა. კონკურსზე წელს სხვადასხვა რეგიონიდან 40-მდე გუნდს მოუსმინეს, ფესტივალის ბოლოს გამარჯვებულები დააჯილდოვეს. გაიმართა საეკლესიო ღვინის დეგუსტაციაც. კონკურსი 25 წელია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ტარდება. ღონისძიებას ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის სასულიერო პირები და ადგილობრივი ხელისუფლება ესწრებოდა. „საქართველოს მეშვიდე კონკურს-ფესტივალი „ქართული საგალობლები” 1998 წელს საჩხერეში, ქალბატონ ლია ვეშაპიძის მიერ დაფუძნდა. მასში მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული 37 ფოლკლორული ანსამბლი.ფესტივალი მიეძღვნა ილია მეორის აღსაყდრებიდან 45 და დაბადებიდან 90 წლის იუბილეს. ფესტივალი გახსნა საჩხერისა და ჭიათურის მიტროპოლიტმა დანიელმა. აქვე გაიმართა ქართული საეკლესიო ღვინის დღე „ზედაშე”, სადაც გამოვლინდა გამარჯვებული ღვინოები. მათ შორის მოხვდა დედოფლისწყაროდან „საბარძიმე საფერავი”. უღრმესი მადლობა მამა ნიკოლოზს, მან დაიმსახურა პრიზი, ელდარ ნადირაძის წიგნი „ვაზი და ღვინო საქართველოში”. დედოფლისწყაროდან მონაწილეობდა კულტურის სახლთან არსებული ვოკალური ანსამბლის „ედელვაისი” მგალობელთა გუნდი. მადლობა გვინდა ვუთხრათ მერიას და კულტურის ცენტრს ტრანსპორტის დაფინანსებისთვის,“ - აღნიშნავს ანსამბლის ხელმძღვანელი ნინო ნიკვაშვილი.

ზემო ქედში კაკბები გაუშვეს

გადაშენების პირას მდგარი კაკბების აღდგენის პროექტი გრძელდება. აგრო ქართუს დაფინანსებით გაზრდილი 100 ინდივიდი კაკაბი მიმდინარე წლის 9 ოქტომბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედში, ღია სივრცეში გაუშვეს. პროექტი ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით და ფონდი ქართუს დაფინანსებით ხორციელდება.

როგორც აქციის ორგანიზატორმა ნიკა პავლიაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, მსგავსი აქტივობები პერიოდულად მთელი საქართველოს მასშტაბით ხორციელდება. მისი თქმით, მნიშვნელოვანია ფრინველების გამრავლების ხელშეწყობა მოხდეს და პროცესს გაგებით მოეკიდნენ მონადირეებიც. უკონტროლო ხოცვა საფრთხეს უქმნის საქართველოში სხვადასხვა სახეობების გამრავლებასა და ჯიშების შენარჩუნებას.

„იმედი გვაქვს, ჩვენს მიერ გაშვებული ფრინველები ბრაკონიერების სამიზნე არ გახდებიან. ამიტომაც ვავრცელებთ ამ ინფორმაციას, რომ მათთვისაც იყოს ცნობილი. ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ ბუნების დაცვასა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაზე,“ – აღნიშნავს პავლიაშვილი

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 16.10		სამშაბათი 17.10		ოთხშაბათი 18.10		ხუთშაბათი 19.10		პარასკევი 20.10		შაბათი 21.10		კვირა 22.10	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	18°	10°	19°	7°	14°	7°	18°	8°	20°	10°	21°	10°	20°	7°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი